ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 10 ივლისი, 2019 №161 (8115) ფასი: 60 თეთრი

პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმეზე „მასტერა“ დაიკითხა

გვ.7

9 ივლისიდან

ჯეიმს ფონიმორ კუპერი

ჯაშუში

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

პუტინმა საქართველო ოკუპანტად გამოაცხადა

გვ.3

საქართველოს მთავრობამ რუსეთის პრეზიდენტი მადლობებით აავსო

„ლევან ვასაძემ პატრიარქად მეუფე შიო უნდა გაიყვანოს“

გოჩა მირცხულავა: „რაინდის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოყვანას ხელი „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებმა შეუწყვეს“

გვ.2

ჯახა კოპორიძე: „მარტო გახარიას გადადგომა საკმარისი არ იქნება“

გვ.5

„ამ დღეებში სასამართლოს ბედი წყდება“

თეონა აქუბარდია: „ზალკალიანის განცხადება ქვეყნისთვის დამაზიანებელი იყო“

გვ.3

გვ.4

რამაზ საყვარელიძე: „მამუკა ხაზარაძეს დაუნდობელი ბრძოლა მოუნევს“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ევროკავშირის სამოქალაქო ოპერაციების მეთაურს შეხვდა

გვ.7

სამართალი გვ.7

სერგო მეთოფიშვილი ნაზი ჯანეზაშვილს ინტერესთა კონფლიქტში ადანაშაულებს

„ცეცხლი რომ გაჩნდა, ბავშვს კარში გასასლები ჩაუტყდა და ვეღარ აღებდა“

გორში

მეხანძრე-მაშველებმა 16 წლის გოგონა გადაარჩინეს



წითელ ხიდზე 18.984.63 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები გამოავლინეს

ეკონომიკა გვ.6

შეიძლება, ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფი გადაიხედოს

პრობლემად რჩება კორუფციის რისკები, რომლებიც ყოფილი თანამდებობის პირების კერძო სექტორში გადანაცვლებას უკავშირდება

„ჩვენი კომპანიისთვის რუსული ემბარგო დამაქცევარი არ იქნება“

ISSN 1987-9385

5 რა ხელფასი ექნება ეროვნული ბანკის ყოფილ ვიცეპრეზიდენტს „ლიბერთიში“

6 შალვა ალავერდაშვილი: „უკვე აღარც გვეკონტაქტებიან, უბრალოდ, ჯავშნებს გვიუქმებენ“

5 „ლარის კურსი გარბის მხოლოდ ერთი მიზეზით — საჭირო აქტიური ქმედება და საუბარი, თუ რას აპირებს მთავრობა“

7 თურქეთში 60 წლის ქართველი ქალი მოკლეს

„ლევან ვასაძემ პატრიარქად მეუფე შიო უნდა გაიყვანოს“

გოჩა მირცხულავა: „რაინდის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოყვანას ხელი „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებმა შეუწყვეს“

შორენა მარსაგიშვილი

რა უნდა ვასაძეს, ვისი კურთხევით შემოვიდა ის პოლიტიკაში, რა გეგმა აქვთ კრემლსა და რუსეთის საპატრიარქოს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი **გოჩა მირცხულავა** ესაუბრება.

– გავრილოვის ღამის შემდეგ ლევან ვასაძე ორი კვირა გაუჩინარებული იყო, ახლა ისევ გამოვიდა ასპარეზზე. ბოლოს და ბოლოს, რა უნდა ამ კაცს?

– მან ერთხელ განაცხადა, რომ პოლიტიკაში პატრიარქის კურთხევით მოდის. ოღონდ არ დაუკონკრეტებია, რომელი ქვეყნის პატრიარქის კურთხევით. შეიძლება მას ამაზე კურთხევა მეუფე შიომ მისცა, რომლის გაპატრიარქებასაც მხარს უჭერს რუსეთი.

ამ ადამიანის გააქტიურება არანაირ იდეალებს არ უკავშირდება და არც შარვალჩახდილი კაცები არიან რამე შუაში. რაინდი და მისი მომხრეები შარვალჩახდილ კაცებს სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს უწოდებენ. არადა, თავადაც უწევთ დღეში რამდენიმეჯერ შარვლის ჩახდა ფიზიოლოგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ასე რომ, ეს ლექსიკა ვერრაფრით ამდიდრებს ამ თემატიკასთან დაკავშირებულ მის აღტყინებას.

ცხადზე უცხადესია, რომ 8 ივლისს სწორედ „თბილისი პრაიდის“ განცხადებამ გამოიყვანა ასპარეზზე რუსულ ორბიტაზე მყოფი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, რომ საქართველოც დააბრუნონ იქ.

დიახ, „თბილისი პრაიდის“ მესვეურთა წყალობით დაიკავეს მათ ყველაზე წმინდა ადგილი საქართველოში, სადაც ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს ისტორია იწერება.

– რუსთაველის გამზირზე რაინდისა და მისი მომხრეების გამაგრებას გულისხმობთ?

– რუსთაველის გამზირი მაქვს მხედველობაში, სადაც წლების წინ ვაწყობდით აქციებს დამოუკიდებლობის მოთხოვნით და სადაც გამოაცხადეს კიდევაც დამოუკიდებლობა.

ახლა იქ დგანან ახალგაზრდები, აპროტესტებენ ოკუპაციას და იბრძვიან თავისუფლებისთვის. ეს პოლიტიკურად წმინდა ადგილი 8 ივლისს დაიკავა იმ ძალამ, რომელიც გვიკიჟინებს, რომ საქართველოს ადგილი არის რუსეთში.

რუსეთის დავალებით შორენა თეთრუაშვილი და ლევან ვასაძე ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ საქართველოს პატრიარქის ტახტზე რუსეთის ეგზარქოსი, მეუფე შიო აიყვანონ. ამისთვის ძალიან ბევრი რამე კეთდება.

ამის მიღწევა ძალიან რთული იქნება და ამიტომაც არის საჭირო საერო ფრთაზე რელიგიურ-ეროვნული ლიდერის ყოფნა. ასეთად პერსონად შერჩეულია ვასაძე,

ესენი ხშირად გვეუბნებიან, რომ ქართველი ერის გაპიდარასტების სერიოზული საფრთხე არსებობს. ასეთი საფრთხე, ბუნებრივია, არ არსებობს.

მე გაგახსენებთ, რა ხდებოდა წლების წინ საქართველოში. მაშინ ჩვენთან ცალკეული სასულიერო პირები იეღოველებს დასდევდნენ, ამტკიცებდნენ, რომ იეღოველები თითქოს რაღაც ორგიებს აწყობდნენ.

გავიდა დრო და ამ თემამ აქტუალობა

დაკარგა. ახლა იეღოველები მშვიდად დგანან თბილისის ქუჩაში და მათ არავინ აღარ დევნის.

ერის გაპიდარასტების თემაზე სერიოზულად ცდილობენ ხალხის დაბოლებას, მაგრამ დაბოლებულთა რიცხვი არ იზრდება. ამ შემთხვევაში ჰომოფობიური განწყობების ადამიანების ვგულისხმობ.

ვიღაცას მართლა სჯერა, რომ საქართველოს გაპიდარასტება ემუქრება და ის ამას გულწრფელად აპროტესტებს. გარკვეული ძალები ცდილობენ, ასეთი ხალხი რუსეთის წისქვილზე წყლის დასასხმელად გამოიყენონ, უნდათ, ასეთი ხალხის დახმარებით დააბრუნონ საქართველო რუსეთის ორბიტაზე და მის კოლონიად აქციონ.

– 8 ივლისს ერის გაპიდარასტების მოწინააღმდეგენი იმდენად გადაერთვნენ რუსულ ნოტებზე, რომ ღირსების მარშიც ან, როგორც თავად უწოდებენ, გეიაღლუმიც კი გამოეპარათ.

– არაფერიც არ გამოეპარათ.

კიდევ ერთხელ ვამბობ დაბეჯითებით, რომ ლევან ვასაძემ „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორთა განცხადება იმისთვის გამოიყენა, რომ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია დაეკავებინა და ობსტრუქციის სცენები ვიხილეთ.

– ამ აქციაზე ლევან ვასაძემ თქვა, ოკუპაციას მთელი ჩემი არსით ვაპროტესტებო.

– როგორ აპროტესტებს მერე? ის არ მოსწონს, რომ რუსული ჯარი მხოლოდ აფხაზეთსა და ცხინვალში დგას, უნდა, რომ ეს ჯარი მთელი საქართველოს მასშტაბით იდგეს. ამას გასაპროტესტებლად ნამდვილად გამოდის ქუჩაში,

მას კიდევ ერთი დაუოკებელი სურვილი ამოძრავებს – უნდა, რომ ქვეყნის საერო ხელისუფალი გახდეს.

იმ დღეს, როცა მან და მისმა ხალხმა რუსთაველი დაიკავეს, ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებთან მქონდა საუბარი. ისინი აღშფოთებული იყვნენ იმის გამო, რომ ვასაძე აკეთებდა ხელისუფლების ცალკეული პირების მხარდამჭერ განცხადებებს.

ერთი საკმაოდ ცნობილი პერსონისგან ისიც მოვისმინე – ვასაძის დასაცავისა და მხარდასაჭერის დედაცო...

– ვინ თქვა ეს?

– იმ ადამიანის ნებართვის გარეშე მის ვინაობას ვერ დავასახელებ. ეს ჩვენი კერძო საუბარი იყო.

ქართული მედიასაშუალებების ნაწილი ჯიუტად ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ რაინდი პარლამენტის წინ „თბილისი პრაიდის“ აქციის ჩასაშლელად მივიდა.

ამ აქციის ჩაშლა თუ უნდოდათ, პარლამენტთან რატომ მივიდნენ. „თბილისი პრაიდს“ არსად განუცხადებია, რომ პარლამენტის წინ იკრიბებოდნენ. რაინდის ხალხმაც თქვა, არ ვიცით, სად ტარდება ღირსების მარშიო.

თუ არ იცოდნენ, სად ტარდებოდა ეს მარში, ვერის ბაღში დარჩენილიყვნენ, სადაც მათი თავშეყრის ადგილი იყო. რატომ მივიდნენ პარლამენტთან და ანტისაოკუპაციო მიტინგის ჩაშლა რატომ ცადეს?!

ეს ღირსების მარში იყო მხოლოდ მიზეზი საიმისოდ, რომ ანტისაოკუპაციო აქცია ჩაეშალათ. ამას ერთი კონკრეტული ფაქტიც ადასტურებს. „თბილისი პრაიდის“ წევრებმა და ორგანიზატორებმა რამდენიმე დღით ადრე ერთ-ერთ ცნობილ და პოპულარულ სასტუმროში 200-კაციანი ღონისძიება გამართეს. ამ ღონისძიებაზე რატომ არავინ ამოიღო ხმა? მგონი, ამის გარკვევა არ არის უინტერესო.

– იქნებ არ ჰქონდათ ამის შესახებ ინფორმაცია?

– ამ ღონისძიების შესახებ ბატონმა ვასაძემ შესანიშნავად იცოდა. ის მაშინ ვერის ბაღში იყო გამაგრებული. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით ერთი განცხადება არ გაჟღერებულა და არც არავინ მივარდნილა სასტუმროში. ამათი აზრით, როგორ არის საქმე, ცნობილ სასტუმროში პიდა-



„თუ ივანიშვილმა ვერ გაუმართლა მოლოდინი ქართველ ხალხს, კორუმპირებულ პრემიერ კვირიკაშვილის სულიერი და ფინანსური პარტნიორი ხაზარაძე რატომ გაუმართლებს?!

რასტობა მოსულა და ქუჩაში არა.

„პრაიდის“ ორგანიზატორებსაც მინდა ვკითხო, კვირეულის დამთავრების შემდეგ რა ღირსების მარში აუტყდათ? თუ ეს ამბავი ლევან ვასაძესთან იყო შეთანხმებული?

– რა შეთანხმება უნდა ყოფილიყო მათ შორის?

– რა და მიჩუმებული რაინდი ისევ გამოსულიყო ასპარეზზე. სამწუხაროდ, საზოგადოება ამ ყველაფერს მხოლოდ ვიწრო ჩარჩოთი ხედავს.

– 8 ივლისს ვასაძემ და მისმა ხალხმა ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმებაც მოითხოვეს. ამაზე რას იტყვით?

– სამწუხაროდ, ამ მოწოდებას ბევრი აჰყვა, მათ შორის სასულიერო პირებიც. ბევრ მათგანს ანტიდისკირიმინაციული კანონი წაკითხულიც კი არა აქვს.

ყველას გვახსოვს, როგორ მიიღეს ეს კანონი. გვახსოვს პარლამენტში ჩამწკრივებული სასულიერო პირები. საქართველოს ხელისუფლებამ მაშინ საპატრიარქოს ძალიან ბევრი მოთხოვნა გაითვალისწინა.

ეს კანონი პუნქტობრივად იქნა გავლილი საპატრიარქოსთან, რის მერეც მას პატრიარქისგან მიეცა კურთხევა. ახლა ამ კანონის გაუქმებას რომ ითხოვენ, ვისი კურთხევით მოქმედებენ? არ დაგვავიწყდეს, რომ ვიზალიბერალიზაციის მისაღებად აუცილებლად უნდა მიგვეღო ანტიდისკრიმინაციული კანონი.

ამ კანონში არაფერი წერია სექსუალური უმცირესობების პროპაგანდის შესახებ. იქ ყველა უმცირესობის დაცვაზეა საუბარი. შრომითი უფლებების დაცვაზე წერია ბევრი რამე. უმრავლესობის უფლებების დაცვაზეც ბევრი საუბარია.

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება კი ზოგიერთების ჯვარ-კომბლით სირბილმა გახადა აუცილებელი.

ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ჩვენში ზოგი კომბლით დარბოდა და ზოგი – ავტომატით, ზოგი ტყვიას ისროდა და ზოგი – ქვას.

ზოგიერთი ხშირად იწონებს თავს – ტოლერანტი ერი ვართო. ამ ადამიანებს ხშირად საკუთარი წარსული ავიწყდებათ.

8 ივლისის სამარცხვინო აქციის მიმდინარეობისას საოცარი ამბავი გავრცელდა სოციალურ ქსელში. ამათ შემხედვარე თბილისელმა ტაქსის მძღოლმა თქვა, ახლა ამათ უნდა მასწავლონ, ვისთან დავწვე და ვისთან არაო. ის ცოტა უფრო უხეშად ამბობდა, მაგრამ ამ სიტყვას გაზეთში ვერ დავწერთ.

სასულიერო პირებსაც მინდა, რაღაცები შევახსენო. ახლა ბევრს რომ ლაპარაკობენ,. სამების გახსნა გაიხსენონ და ის პირველი ოფიციალური ღონისძიება, რომელიც იქ გაიმართა. ამასთან დაკავშირებით მეტს არაფერს ვიტყვი.

– მოდით, ისევ იმ აქციას დავუბრუნდეთ, თავიდან ამბობდნენ, არ დავიშლებითო და 9 ივლისის დილით რუსთაველი დატოვეს. ან მივარდნა რა იყო, ან გავარდნა.

– ამ ამბავს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა – პოლიტიკურ ავანსცენაზე ვასაძე უნდა გამოჩენილიყო. ქართველი ადამიანის ტვინში უნდა ჩაწერილიყო, რომ ის ადამიანი არის ეროვნული იდეებისთვის მებრძოლი.

ხომ გვითხრეს, რომ პრაიდს ებრძოდნენ. ის პრაიდი სადღაც ჩაატარა ათმა კაცმა. ამაზე ვასაძემ თქვა, ახლა კურდღლებს ხომ არ დავუწყებ დევნასო.

ხალხმა მშვენივრად დაინახა, რაც მოხდა სინამდვილეში. მათ გაახმოვანეს რუსული მოთხოვნა – არა ნატოს, არა ამერიკას, არა ევროპას.

ასეთი მიუღებელი თუ არის დასავლეთი, თავად რატომ დადიან ევროპასა და ამერიკაში?

ზოგიერთს იქ შვილი ჰყავს სასწავლებლად გაგზავნილი, ზოგმა ცოლი გაუშვა სამუშაოდ.

მათ ცოლებსა და შვილებს რყვნის ვინმე? ან თავად რომ ჩადიან დასავლეთში, ფალოსამოგდებულები დასდევენ? სისულელეა მათი პროპაგანდა და მეტი არაფერი.

– პარლამენტის წინ მოწყობილი ცირკის შემდეგ ლევან ვასაძის თემა ხომ არ დამთავრდა? ბევრს, ვინც მის მიმართ დადებითად იყო განწყობილი, ანტიპათია გაუჩნდა.

– საქართველოში ვასაძის პოლიტიკური მზე ვერასდროს ამოანათებს, ამის მიუხედავად, აქტიურობას თავს არ დაანებებს. მას მიღებული აქვს კონკრეტული დავალება, რომელიც უნდა შეასრულოს.

– და რა არის ეს დავალება?

– მეუფე შიო უნდა გახდეს ეგზარქოსი. ადრე თუ გვიან საქართველოს ახალი პატრიარქის არჩევა მოუწევს. აი, ამ დროს ვასაძე და მისი მომხრეები სვეტიცხოველს ალყაში მოაქცევენ. მღვდელმთავრებზე განხორციელდება მუქარა, რათა მათ რუსეთისთვის სასურველი კანდიდატი აირჩიონ პატრიარქად.

საბედნიეროდ, ჩვენი საზოგადოება იმდენად გაიზარდა, რომ ვასაძის ლეგიონში ვერ ჩაწერს საკუთარ თავს.

– ხალხი მის ლეგიონში შეიძლება არ ჩაეწეროს, მაგრამ ამ ლეგიონის მიერ მოწყობილი აქციის შემდეგ ანტისაოკუპაციო მოძრაობის დისკრედიტაცია ხომ არ მოხდება?

– გამორიცხულია. საქართველოში ანტისაოკუპაციო იდეის დისკრედიტაციას ვერავინ მოახდენს. ყველაზე მარგინალმა პოლიტიკოსმაც რომ თქვას, რუსეთი ოკუპანტიაო, ეს სიტყვა უკვე იარაღია მის ხელში.

ქართველმა ხალხმა რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა ევროატლანტიკურ არჩევანს და ვინ არის ვასაძე, რომ ნატოზე უარის თქმას გვაიძულებს. ნურავის დაავიწყდება, რომ ამ რეფერენდუმს მაღალი ლეგიტიმაცია აქვს.

საქართველოს საგარეო კურსს ვასაძე ვერ შეცვლის. მისი პოლიტიკური დღის წესრიგია, რომ მეუფე შიო გახდეს პატრიარქი. ამასობაში იმასაც შეეცდება, რომ თავადაც გახდეს პოლიტიკური ფიგურა.

ასევე ვამბობდი მამუკა ხაზარაძეზეც. ისიც ცდილობდა, შემოსულიყო პოლიტიკაში.

– ამაზე პირველად გასულ წელს გააკეთეთ განცხადება.

– მეორე წელია, გეუბნებით, რომ პოლიტიკური ამბიციები აქვს. ეს მან ამ დღეებში დაადასტურა.

– ახლა რატომ შემოვიდა?

– „ჩემი ცოლის დაქალების“ ბაქარ ორჯონიკიძის პოლიტიკაში შემოსვლა ვერ აიტანა, თავადაც იგივე გააკეთა და ახლა ცდილობს, შავლეგო მადლიანად მოგვევლინოს.

დიდი ბოდიში, მაგრამ, თუ ივანიშვილმა ვერ გაუმართლა მოლოდინი ქართველ ხალხს, კორუმპირებულ პრემიერ კვირიკაშვილის სულიერი და ფინანსური პარტნიორი ხაზარაძე რატომ გაუმართლებს?

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თეონა აქუბარდია: „ზალკალიანის განცხადება ქვეყნისთვის დამაზიანებელი იყო“

„თუ ქვეყანაში ქაოსია, ხელისუფლება დუმს, თუ პუტინს აგინებ, მისი რეაქცია მყისიერია“

იაგო ნაცვლიშვილი

8 ივლისს საქართველომ პრაქტიკულად სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე გაიარა. თბილისში 4 სხვადასხვა აქცია გაიმართა. „თბილისი პრაიდის“ წინააღმდეგ ბიზნესმენ ლევან ვასაძის ლეგიონი დილიდან პარლამენტთან გამაგრდა. „პრაიდის“ დაანონსებული ღირსების მარში მაინც გაიმართა, ოღონდ სულ სხვა ლოკაციაზე, გაცილებით მცირე მასშტაბურობითა და ხანგრძლივობით. აქცია შსს-თან გაიმართა. ვასაძის მომხრეები სასწრაფოდ წავიდნენ შსს-თან, მაგრამ ღირსების მარში უკვე დასრულებული იყო.

ტრადიციულად, აქცია რუსთაველზე გამართეს ანტისაოკუპაციო მოძრაობამაც, სადაც მას ადგილს ვასაძის ლეგიონი არ უთმობდა. მოხდა რამდენიმე ინციდენტიც, თუმცა ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებას გადაურჩა.

კიდევ ერთი აქცია „რუსთავი 2“-თან გაიმართა ტელეკომპანიის დახურვის მოთხოვნით, სადაც მაუწყებელში შეჭრის საშიშროებაც იდგა. ამ დაძაბულობის ფონზე არ ჩანდა ის, რომ სახელმწიფოს კრიზისებთან გამკლავება შეუძლია. უსაფრთხოების საბჭო არც ამ შემთხვევაში შეკრებილა.

შეუძლია თუ არა სახელმწიფოს კრიზისებთან გამკლავება და იყო თუ არა აუცილებელი ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შეკრება? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის წარმომადგენელი **თეონა აქუბარდია** საუბრობს.

– 8 ივლისს ქვეყანამ პრაქტიკულად სამოქალაქო ომის ზღვარზე გაიარა. დაინახეთ ის, რომ სახელმწიფოს აქვს კრიზისებთან გამკლავების გზები და სტრატეგია?

– ჩვენ ვხედავთ, რომ 20 ივნისის შემდეგ საქართველოში აქციები მიმდინარეობს პერმანენტულ რეჟიმში. აქციები, რომელიც ანტისაოკუპაციო მოძრაობად არის ცნობილი ყოველდღე იკრიბება, რომლის ბოლო მოთხოვნაც – გახარიას გადადგომა დღემდე არ შესრულებულა და ამ მოთხოვნის გამო ეს აქციები გრძელდებოდა.

რუსეთის ფედერაცია დგამს ჰიბრიდული ომის ტაქტიკის მსგავს ნაბიჯებს. რაც ქვეყანაში ხდება, ამის მაგალითია. ერთი მხრივ, მსჯელობენ ახალი სანქციების დაწესებაზე, საქართველოდან ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტთან დაკავშირებით, ასევე ცდილობს, ჩაერიოს ქვეყნის შიდა საქმეებში. მხედველობაში მაქვს ის ჯგუფები, რომლებიც გააქტიურებული არიან და პირდაპირი და ირიბი კავშირები აქვთ რუსეთის ფედერაციასთან.

ლევან ვასაძისა და მისი ჯგუფის აქცია გავრილოვის მოვლენებამდე დაანონსებული იყო და ვხედავდით, როგორი ანტიკონსტიტუციური განცხადებები ისმოდა, როდესაც ვასაძე მოუწოდებდა მომხრეებს, არ დამორჩილებოდნენ პოლიციას, გამოეყენებინათ კომბლები, ქამრები და ა.შ.

8 ივლისს უკვე, საბოლოო ჯამში, ჩვენ ვნახეთ 3 აქცია. იყო ანტისაოკუპაციო მოძრაობის, ვასაძის დაჯგუფების, რომელსაც პატრიოტთა ალიანსი და ემზარ კვიციანიც შეუერთდნენ და იმ აქციაზე ბევრი ისეთი ადამიანი იყო, რომლებიც პირდაპირ რუსეთიდან ფინანსდებიან, რაც იყო ეროვნული ინტერესებისა და კონსტიტუციის წინააღმდეგ მიმართული ქმედება. რეალურად ქვეყანამ გაიარა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე. მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც აგვაცილა ეს დიდი უბედურება. ვნახეთ, რომ პოლიციელები ამ აქციებზე იყვნენ მობილიზებული.

თუმცა, კიდევ ერთხელ ვაჩვენეთ ის, რომ კრიზისების მართვა ქვეყანაში პოლიტიკურ დონეზე მოშლილია. როდესაც ქვეყანას ერთდროულად აქვს გარე და შიდა საფრთხეები ერთდროულად. როცა რუსეთი, ერთი მხრივ, იყენებს ეკონომიკურ სანქციებს და ბერკეტებს, როცა პირდაპირ ამბობენ რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პირები, რომ ეს სანქციები საქართველოში ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობებს გამოიწვევს და მათი მიზანია, საქართველო იყოს არასტაბილური, სუსტი და ქაოტური ქვეყანა. ხოლო მეორე მხრივ შიდა ჯგუფები, რომლებსაც პირდაპირი ან ირიბი კავშირები აქვს რუსეთთან, ამწვავებენ ვითარებას.

პოლიტიკურ დონეზე კრიზისების მართვა ევალება სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს, რომლის თავმჯდომარეც არის პრემიერი, ხოლო მდივანი – შს მინისტრი, რომელიც, ამავდროულად, ვიცეპრემიერია. შესაბამისად, სახეზე გვაქვს შიდა და საგარეო საფრთხეები.

1 მაისი იყო ერთადერთი თარიღი, როცა უსაფრთხოების საბჭოს სხდომა შედგა. სხვა არანაირი აქტივობა არ გვინახავს ამ ინსტიტუტის, რომელიც საგარეო და შიდა უსაფრთხოებაზეა მიმართული.

– რატომ? უმოქმედოა ეს საბჭო?

– ამ კითხვას უნდა უპასუხონ პრემიერმა ბახტაძემ და შს მინისტრმა გახარიამ. მთავრობამ დაარღვია კანონი, რომლის მიხედვითაც 2 ივლისი იყო ბოლო თარიღი, როცა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დებულება უნდა დაემტკიცებინა მთავრობას. ეს დებულება მთავრობის მიერ დღემდე არ არის დამტკიცებული, ანუ საბჭოს აპარატი დღემდე არ ჰყავს და არ მუშაობენ შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანები იმ რისკების შესახებ, რომლებიც ქვეყანაშია სხვადასხვა მიმართულებით, რათა მან წარუდგინოს რეკომენდაციების პრემიერ-მინისტრს. ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ პრემიერ ბახტაძესა და მინისტრ გახარიას.

ირიბად თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ბიძინა ივანიშვილის პასუხისმგებლობაც დავაყენოთ ამ კუთხით. იმიტომ, რომ ის არის ხელისუფლების არაფორმალური ლიდერი. ქვეყანას აქვს საფრთხეები, მაგრამ არ აქვს ანტიკრიზისული გეგმა. ასევე არ ვიცით, რით აპირებს ქვეყანა, დააკომპენსიროს ის ეკონომიკური ზიანი, რაც მიადგა ქვეყანას.

– რა ვითარებაც ვიხილეთ 8 ივლისს, იყო თუ არა იმის აუცილებლობა, რომ საბჭო შეკრებილიყო და ემსჯელა ამ საკითხებზე?

– საბჭოს შეკრების აუცილებლობა არაერთხელ იყო, იქნებოდა ეს პანკისის მოვლენები, დავით გარეჯის საკითხი თუ გავრილოვის ჩამოყვანის საკითხი. კობახიძე, რომელიც დღეს ისევ საუბრობს საარჩევნო კანონმდებლობაზე, სანამ გავრილოვს ჩამოიყვანდა, ეს გადაწყვეტილება მარტო მას არ უნდა მიეღო.

საზღვრის დაცვა ეხება შსს-ს, შესაბამისად, გახარიას ჰქონდა ინფორმაცია მის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, სუს-ი კი უზრუნველყოფს შიდა უსაფრთხოებას. რატომ ვერ გათვალეს მათ ის, რომ გავრილოვის ჩამოყვანა საზოგადოებაში ამ ტიპის პროტესტს გამოიწვევდა ქვეყანაში, სადაც 11 წლის წინ ომი იყო, რომლის 20% ოკუპირებულია და ყოველდღიურად რუსეთი მცოცავი ოკუპაციის მეშვეობით ახორციელებს ქვეყნის ანექსიას და ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას. ამ შემთხვევაში ეს უნდა ჰკითხოთ გახარიასა და ბახტაძეს.

კანონმდებლობაში ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსთან დაკავშირებით წერია, რომ ეს არის პირდაპირ ვალდებული, რომ საბჭო უნდა მოეწვია არათუ 8 ივლისს, არამედ გავრილოვის ჩამოყვანამდეც. საბჭო 3 თვეში ერთხელ უნდა შეიკრიბოს, 3 თვე ხდება 1 აგვისტოს, თუ ხელისუფლება კანონის დარღვევას ამ კუთხითაც არ აპირებს, 1 აგვისტომდე მაინც უნდა შეიკრიბოს.

სამწუხაროა, რომ პარლამენტი არ იმჩნევს ამ კანონდარღვევას. სამწუხაროა, რომ მთავრობა არ ზრუნავს უსაფრთხოების დაცვაზე ისე, როგორც ამას კანონი ამბობს და რომელსაც უმრავლესობამ დაუჭირა მხარი პარლამენტში.

– ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას ეთერის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება თუ იყო თქვენთვის გასაგები, როცა საერთაშორისო ორგანიზაციებს რეაგირებისკენ მოუწოდა?

– ერთი თემაა, რაც ილაპარაკა გაბუნიამ, რაც არასწორია. ეს არის ერთი ჟურნალისტისა და ტელეკომპანიის საქმე. მეორე თემაა მთავრობის კომუნიკაცია ხალხთან. ვნახეთ, როცა პანკისის მოვლენები იყო, მთავრობამ დააგვიანა რეაგირება რამდენიმე საათით, დაიგვიანა დავითგარეჯის დროსაც, დაიგვიანა 20 ივნისის მოვლენების დროს. 7 საათზე დაიწყო აქცია და დილის 4 საათამდე არავინ გამოჩნდა ხელისუფლებიდან, რომ რაღაცა რეაგირება მოეხდინა. დილის 4 საათზე ჩაატარა პრემიერმა ბახტაძემ სრულიად გაუგებარი ბრიფინგი. მას შემდეგ, რაც სისხლი დაიღვარა რუსთაველზე, მერე დაიწყეს რეაგირება პოსტფაქტუმ.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მყისიერი რეაგირება ჰქონდათ ხალხთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სამწუხაროდ, იყო პუტინის ლანძღვა-გინება, რაც ძალიან დამაზიანებელი იყო ქვეყნისთვის. ჩანს, რომ მხოლოდ პუტინის მიმართ გინება იწვევს მათ სტრატეგიულ კომუნიკაციას. ვნახეთ, რომ ყველამ გააკეთა განცხადება.

ძალიან დამაზიანებელი იყო საგარეო უწყების და მინისტრ ზალკალიანის განცხადება. მე არ მგონია, რომ ბატონ ზალკალიანს არ ესმოდეს, რომ ეს განცხადება იყო ქვეყნისთვის დამაზიანებელი, როცა მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებას, ჰქონდეს რეაგირება ჟურნალისტის გამონათქვამებთან. მით უმეტეს, კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი, როცა მის განცხადებას არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.

– ვადამდელი არჩევნებისკენ მივდივართ?

– ვადამდელი არჩევნები არის გზა ხელისუფლების ჩანაცვლებისთვის, მაგრამ ამ ეტაპზე არ არის ლაპარაკი ვადამდელ არჩევნებზე. ვხედავთ რუსულ ინტერესს, რომ საქართველო იყოს ქაოსში, დემოკრატიული ინსტიტუტები ეფექტიანად არ მუშაობდეს და ეს პროცესი, რაც ხდება, ამ ყველაფერს ხელს უწყობს.

ვადამდელი არჩევნები იმართება მაშინ, როცა ქვეყანაში კრიზისია, მაგრამ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს კრიზისი ვერ დაინახოს. ის დაპირება, რაც იყო პროპორციულ არჩევნებთან და ნულოვან ბარიერთან დაკავშირებით, აუცილებელია იმისთვის, რომ ქვეყანაში იყოს ჯანსაღი გარემო. ეს გასაუმჯობესებელია გრძელვადიან ხედვებში, მაგრამ დღევანდელ კრიზისთან დაკავშირებით უნდა გავაცნობიეროთ, რომ რუსეთი არის ჩვენი მტერი. სახელმწიფომ კი უნდა დაიცვას ქვეყნის მოსახლეობის ინტერესები და დაანახოს კონკრეტული სამოქმედო გეგმა, წინაალმდეგ შემთხვევაში, არჩევნები იქნება მხოლოდ და მხოლოდ ბუტაფორია.

დღეს საზოგადოება ორ ნაწილად არის გაყოფილი – ერთი, რომელიც მხარს უჭერს პროდასავლურ კურსს და დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ხოლო მეორე, რომელიც მიგვათრევს წარსულში, 200-წლიანი ოკუპაციის პერიოდში, სადაც საქართველოს არ ჰქონდა საკუთარი ხმის უფლება, რომ საკუთარი გადაწყვეტილებით ემართა ქვეყანა.

ამის მცდელობა იყო რუსთაველზე 8 ივლისს, როცა ეწინააღმდეგებიან ქვეყნის კონსტიტუციას და საგარეო კურსს. მცდელობაა, რომ საქართველოში შემცირდეს პროდასავლური კურსის მომხრეთა რიცხვი და არ იყოს მყარი დემოკრატია.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს ანტისაოკუპაციო აქცია ნაციონალური მოძრაობის მიერ იმართება, აქ აღარ არის საუბარი ნაციონალურ მოძრაობაზე, „ქართულ ოცნებასა“ თუ პატრიოტთა ალიანსზე. აქ საუბარია ქვეყანაზე. უნდა დავინახოთ, ვინ არის დღეს მტერი და ვინ – მოყვარე.

უნდა დავიცვათ ჩვენი დემოკრატია და საგარეო ვექტორი, რომელიც კონსტიტუციაში იქნა ჩაწერილი ამ ხელისუფლების პირობებში, მაგრამ ამ ჩანაწერსაც ემუქრება საფრთხე იმ შავბნელი მოწოდებების გამო, რომლებიც გვესმოდა 8 ივლისს რუსთაველის გამზირზე.

პუტინმა საქართველო ოკუპანტად გამოაცხადა

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მთავრობამ რუსეთის პრეზიდენტი მადლობებით აავსო

9 ივლისი საქართველოს ხელისუფლებამ შეიძლება პუტინის ხსენების დღედ გამოაცხადოს. გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ისეთი განცხადება გააკეთა, რომ პრორუსულად განწყობილი ქართველობა სულ ცრემლად დაიღვარა.

სიამის ცრემლები ვერც ხელისუფლების წარმომადგენლებმა დამალეს.

მათ ისევე ერთობლივად და ოპერატიულად აქეს პუტინი, როგორც 7 ივლისის ღამეს ლანძღეს გიორგი გაბუნია, რომელმაც რუსი ერის მამას პირდაპირ ეთერში შეაგინა.

ამ გინების გამო რუსეთმა საქართველოსთვის სანქციების დაწესება გადაწყვიტა. ქართველი რუსეთუმეები პუტინისგან დაბომბვას ელოდნენ, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ – ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა არათუ ბომბები არ დაგვაყარა, არამედ დუმის მიერ მხარდაჭერილ სანქციებსაც კი არ დაუჭირა მხარი.

თურმე ნუ იტყვით და ქართველები ჰყვარებია ძალიან. ეტყობა, ამ სიყვარულით დაგვაყარა ბომბები 2008 წლის აგვისტოში, მანამდე კი სავიზო რეჟიმი დაგვიწესა – ალბათ, შეშინდა, ამათ სიყვარულში არ ჩავიძიროო.

პუტინის სიყვარულით გაჟღენთილ განცხადებამდე რამდენიმე საათით ადრე

დუმამ საქართველოს წინააღმდეგ სანქციების შემოღებას დაუჭირა მხარი.

რუსეთის დუმამ პლენარულ სხდომაზე მიიღო განცხადება, რომელშიც რეკომენდაცია მისცა მთავრობას, განიხილოს საქართველოს წინააღმდეგ სპეციალური ეკონომიკური ზომების მიღების მიზანშეწონილობა და შესაბამისი წინადადებები წარუდგინოს რუსეთის პრეზიდენტს.

დოკუმენტი, რომელიც მომზადებული იყო დუმის დსთ-ის საკითხთა კომიტეტის მიერ, ითვალისწინებს რუსეთში ქართული ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტის აკრძალვას, ასევე რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების შეჩერებას.

გაბუნიას მიერ ნაგინები პუტინი მყისიერად გამოეხმაურა დუმის გადაწყვეტილებას.

ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ქართველი ხალხის მიმართ პატივისცემის ნიშნად და საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით არ ღირს სანქციების შემოღება ამ ქვეყნის წინააღმდეგ.

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, ანტირუსულ განწყობებს საქართველოში აქეზებს ხალხი, რომელმაც არ იცის ისტორია და საბოლოოდ ვნებს ქვეყანას.

– რაც შეეხება სხვადასხვა სახის სანქციებს საქართველოს მიმართ, მე არ გავაკეთებდი ამას სწორედ ქართველი ხალხის მიმართ პატივისცემის გამო. სრულფასოვანი ურთიერთობების აღდგენისთვის მე არ გავაკეთებდი ისეთს არაფერს, რაც გაართულებდა ჩვენს ურთიერთობებს, – განაცხადა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს უახლესი ისტორიაც მიმოიხილა და სულ ოკუპანტები გვეძახა.

ოკუპანტი ქვეყნის პირველი პირის თქმით, საქართველომ გერმანიის ჯარების დახმარებით მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია. მისივე მტკიცებით, ქართველებმა ცხინვალი სასტიკად ავაწიოკეთ და ისიც დავიპყარით.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

რამაზ საყვარელიძე: „მამუკა ხაზარაძეს დაუნდობელი ბრძოლა მოუწევს“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბიზნესმენ მამუკა ხაზარაძის მიერ პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ გაკეთებულ განაცხადზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, მამუკა ხაზარაძემ განაცხადი გააკეთა, რომ ის საზოგადოებრივ მოძრაობას ქმნის. გამოდის, ხაზარაძემ პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო?

– რა თქმა უნდა! საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნიდან პოლიტიკურ მოძრაობამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება. სექტემბერში ის დააფუძნებს საზოგადოებრივ მოძრაობას და ამ პერიოდს ერთგვარი მოთელვისთვის გამოიყენებს და შემდეგ შექმნის პოლიტიკურ პარტიას და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

იმ საკანონმდებლო ცვლილებებით, საარჩევნო სისტემას ვგულისხმობ, რაზეც ხელისუფლების მხრიდან არის საუბარი, მამუკა ხაზარაძეს და მის გუნდს ექნება შესაძლებლობა, რომ პარლამენტში შევიდნენ.

– უკვე ბევრი პოლიტიკური პარტია გამოთქვამს მზადყოფნას, რომ მასთან ითანამშრომლოს, ასეთი მზადყოფნა უკვე გამოთქვა გიგა ბოკერიამ. ვისთან უფრო წარმოგიდგენიათ მამუკა ხაზარაძე, როგორც პოლიტიკური პარტნიორი?

– ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, ალბათ უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ის გადაწყვეტილება, წავიდოდა თუ არა ხაზარაძე პოლიტიკაში.

– რას გულისხმობთ?

– ვისი პარტნიორი იქნება, ნაციონალური მოძრაობის და მასთან ასოცირებული პარტიების თუ „ქართული ოცნების“ და მასთან ასოცირებული პარტიების. ვნახოთ, ამას დრო გვიჩვენებს.

– კობახიძემ არ გამორიცხა კოალიციური მთავრობა.

– დიახ, წინ ძალიან საინტერესო პროცესები გველის. როგორი იქნება ამომრჩევლის გადაწყვეტილება, ვის რამდენი ნდობა ექნება სწორედ ამომრჩევლისგან, როგორი იქნება ეს კოალიცია, ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესო პროცესებია წინ.

– თავის დროზე ბევრი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ „თიბისის“ ირგვლივ განვითარებული ამბების შემდეგ ხაზარაძე პოლიტიკაში წავიდოდა. თინა ხიდაშელი ამბობს, რომ ხაზარაძეს ორი გზა ჰქონდა: ან სახლში წასულიყო, ან პოლიტიკაში. თქვენი მოლოდინი გამართლდა?

– იგივე საარჩევნო სისტემა და საარჩევნო ბარიერი რომ დარჩენილიყო, მაშინ ალბათ რთულად მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ შემოთავაზებული პროპორციული სისტემა და ნულოვანი ბარიერი საუკეთესო შანსია, რომ პოლიტიკაში მოვიდეს ნებისმიერი და მით უფრო, რასაკვირველია, მამუკა ხაზარაძე. სიმართლე გითხრათ, რომ არ მიეღო ეს გადაწყვეტილება, ის იქნებოდა ბევრად უფრო გასაკვირი.

– უკვე სახელდებიან ის ადამიანები, რომლებიც მოიაზრებიან ხაზარაძის გუნდში. ძირითადად საუბარია „ქართული ოცნების“ ყოფილ წევრებზე: ლევან კობერიძეზე, ლევან გოგიჩაიშვილზე. თუმცა, ალბათ უფრო მნიშვნელოვანია ყოფილი პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის შესახებ ინფორმაცია. დაბრუნდება კვირიკაშვილი პოლიტიკაში?

– გიორგი კვირიკაშვილსა და მამუკა ხაზარაძეს მეგობრობა აკავშირებთ ერთმანეთთან. კვირიკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება ზოგადად პოზიტიური იქნება. მას იცნობენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. მისდამი, როგორც ყოფილი პრემიერისადმი, დასავლეთში ნდობა მაღალია. მას ასევე დასავლეთში სერიოზული კავშირებიც აქვს. ამდენად, ეს ძალიან დიდი უპირატესობა იქნება ნებისმიერი პარტიისა თუ გუნდისთვის.

აქამდე კვირიკაშვილი აცხადებდა, რომ მას პოლიტიკა აღარ აინტერესებს და, რომ ის პოლიტიკაში არ აპირებს დაბრუნებას. დღეს კვირიკაშვილი თავისი საქმიანობით შორს არის პოლიტიკისგან და ის ერთ-ერთ უცხოურ კომპანიას კონსულტირებას უწევს, რაც საკმაოდ მაღალანაზღაურებადი სამსახურია. ალბათ უფრო 50-50-ზეა, მიიღებს თუ არა კვირიკაშვილი პოლიტიკაში დაბრუნების გადაწყვეტილებას. ვნახოთ, ამასაც დრო გვიჩვენებს.

– „ქართული ოცნებიდან“ ბევრი წავა ხაზარაძესთან? თუ გავითვალისწინებთ პარტიის დაანონსებულ განახლებას, ამ დილემის წინაშე ალბათ ბევრი აღმოჩნდება. რას იტყვით?

– სავსებით სწორი დასკვნაა. თუმცა, წინარე პერიოდზეც ბევრი იქნება დამოკიდებული, ვინ რა გარანტიებს მიიღებს. „ოცნებას“ მცირე ჯგუფები ღიად უკვე გამოეყო, მაგრამ ასეთივე მცირე ფარული ჯგუფები ჯერ კიდევ რჩებიან „ქართულ ოცნებაში“, ალბათ ისინი ასეთ ხელსაყრელ სიტუაციას ელოდებიან ადგილმონაცვლეობისთვის.

ასეთი გადანაცვლებები პოლიტიკურ პოტენციალზეც იქნება დამოკიდებული, რა პოლიტიკურ პოტენციალს აჩვენებს ხაზარაძე არჩევნებში.

– რამდენად იქნება წარმატებული პოლიტიკოსი?

– მან უკვე გამოავლინა პოლიტიკისთვის საჭირო პოლიტიკური თამაშების ალღო და მანევრის შესაძლებლობები. ჩვენ ვნახეთ, თუნდაც ის თემა როგორ გადაიყვანა პოლიტიკურ ჭრილში, როგორი ველი მისცა მას.

აქვე, კიდევ ერთი ფაქტორი: მამუკა ხაზარაძე ცნობილია როგორც ქველმოქმედი. ის აფინანსებდა მწერლებს, პოეტებს, ახალგაზრდა ხელოვანებს. მასში, როგორც ადამიანში, როგორც ჩანს, ქველმოქმედის მუხტი დევს. ეს პოლიტიკოსისთვის ძალიან საჭირო თვისებაა, რომ პოლიტიკოსი ადამიანს არ გაუუცხოვდეს.

მამუკა ხაზარაძეს მოუწევს პოლიტიკურ ბრძოლაში შესვლა. ეს ბრძოლა არ არის მარტივი, ეს ძალიან დაუნდობელი ბრძოლაა. ყველა ერთმანეთის კონკურენტია. ვიღაც იტყვის, ბიზნესმენისთვის კონკურენცია უცხო ხომ არ არის?! არა, მაგრამ პოლიტიკური კონკურენცია და პოლიტიკა სრულიად სხვა რამეა.

ბრძოლა მიდის ყველა მეთოდით არა მხოლოდ პოლიტიკური კონკურენტების მიმართ, არამედ იქ, სადაც პოლიტიკური კონკურენტიც კი არ არის და მხოლოდ ინტერესია.

მაგალითად, მე ორი დღის წინ ფეისბუკი გამიტეხეს და მომაწერეს პოლიტიკური განცხადება, რომელიც მე არ გამიკეთებია. ამდენად, ბევრი ანალოგიური ხერხი შეიძლება იყოს გამოყენებული ნებისმიერის მიმართ, მათ შორის, ხაზარაძის მიმართ.

ასეთი დაუნდობელია პოლიტიკა.

პუტინმა საქართველო ოკუპანტად გამოაცხადა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მართალია, ოკუპანტთა შორის უოკუპანტესმა ოკუპანტი გვეძახა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ძალიან კმაყოფილი დარჩა.

მადლიერება პირველმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა გამოხატა. მისი თქმით, პუტინის გადაწყვეტილება ცალსახად სწორი იყო.

მინისტრის განმარტებითვე, არ შეიძლება სიტუაციის ესკალაცია და უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთება.

– ჩვენ გულდასმით ვადევნებდით თვალს უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ მოვლენებს და უნდა ითქვას, რომ ის პროვოკაციული განცხადებები, რომლებმაც გამოიწვია სიტუაციის გამძაფრება, ესკალაცია იყო კატეგორიულად მიუღებელი. რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილება ცალსახად ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილებაა და მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება მიესალმო.

არავითარ შემთხვევაში ამ უპასუხისმგებლო და მართლაც პროვოკაციულ განცხადებებს, რომლებსაც სიტუაციის გამძაფრება მოჰყვა, რომლებსაც მოჰყვა სწორედ სიტუაციის ესკალაცია, დესტაბილიზაცია, იმ მძიმე ფონის შექმნა, რომელმაც შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ჩვენი ქვეყნის შემდგომ განვითარებას, ბუნებრივია, არავითარ შემთხვევაში ამის დაშვება არ შეიძლება. ვფიქრობ, ის გადაწყვეტილება, რომელიც მოვისმინე, იყო ცალსახად სწორი, – აღნიშნა ქართული დიპლომატიის მადლიერმა მამამ.

საქართველოს მთავრობის მეთაურის თქმით, პუტინის გადაწყვეტილება კარგი და მისასალმებელია.

მამუკა ბახტაძის აზრით, ხალხთაშორისი ურთიერთობა არის ძალიან პრინციპული საკითხი და ბოლო წლების განმავლობაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი არსებობს.

– რაც შეეხება კვირას საღამოს მომხდარ ფაქტს, იმ პათოლოგიურ ფრაზებს, რომლებიც მოვისმინეთ, ეს არის სრულიად მიუღებელი ნებისმიერი ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანისთვის, მით უმეტეს, მიუღებელია ეს ჩვენი ერისთვის, ერისთვის, რომელიც განსაკუთრებით ამაყობს თავისი კულტურითა და ფასეულობებით. ჩვენ ვართ პასუხისმგებლიანი მთავრობა, რომელიც ყოველთვის ორიენტირებულია ეროვნულ ინტერესებზე. საქართველოს წინაშე არის ძალიან მტკივნეული გამოწვევები და ყველამ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ამ გამოწვევების გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ ერთსულოვნებითა და კონსოლიდაციით.

სრულიად მიუღებელია ნებისმიერი მცდელობა, რომ მოხდეს ქართველი საზოგადოების პოლარიზება. ეს არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, მსურს, კიდევ ერთხელ ყველას მოვუწოდო, რომ ეს კარგად გავითვალისწინოთ და პასუხისმგებლობით მივუდგეთ ნებისმიერ საკითხს.

მთავრობა არავის მისცემს უფლებას, საქართველო აქციოს აგრესიული დღის წესრიგის მძევლად როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში, – აღნიშნულია პრემიერის განცხადებაში.

„ქართულმა ბიზნესმა უნდა შეიგნოს, რომ რუსეთზე დამოკიდებულება დამღუპველია“

საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, საქართველომ და ქართულმა ბიზნესმა უნდა შეიგნოს, რომ რუსეთზე დამოკიდებულება დამღუპველია. ამის შესახებ ეკონომისტმა ვახტანგ ჭარაიამ რადიო „პალიტრის“ გადაცემა „საქმეში“ განაცხადა.

მისი თქმით, ობიექტური რეალობა ჩვენი ქვეყნისთვის მძიმეა, რადგან საქართველოდან რუსეთში ძირითადად დასაქმებაზე ორიენტირებული საექსპორტო პროდუქცია გადის. თუმცა რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ამ ქვეყანაზე იმედების დამყარება არ შეიძლება.

– საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა, თუმცა მოდით ამას ნეგატიურთან ერთად, ცოტა პოზიტიური კუთხითაც შევხედოთ. კერძოდ, ის, რომ ბოლოს და ბოლოს საქართველომ და ქართულმა ბიზნესმა უნდა შეიგნოს, რომ რუსეთზე დამოკიდებულება არის დამღუპველი. გრძელვადიან პერიოდში რუსეთზე იმედების დამყარება საერთოდ არ არის მიზანშეწონილი და უფრო მეტ ზიანს მოიტანს ერთი, ორი ან თუნდაც, 5 წლის პერსპექტივაში. ამიტომ, არაერთხელ გამეორებულმა ფაქტმა, ჩვენს ბიზნესს, მოსახლეობას და მთავრობას იქნებ შეაგნებინოს, რომ რუსეთზე დამოკიდებულება საქართველოსთვის არის დამღუპველი, დღეს თუ არა ხვალ მაინც.

მეორე მხრივ, თუ ობიექტურად შევხედავთ იმ რეალობას, რაც ქვეყანაში გვაქვს, ძალიან სამწუხაროა. რუსეთზე დამოკიდებულება, მიუხედავად იმისა, რომ პირობითად, ექსპორტში მილიონ დოლარებში გამოხატული არ არის (ჩვენს ექსპორტში სულ 13%-ია რუსეთის წილი) და არც ისეთი გრანდიოზული ციფრია, რომ ქართული ეკონომიკის ჩამოშლა გამოიწვიოს, მაგრამ თუ შევხედავთ სტრუქტურას, თუ არ გაგვაქვს ამ 13%-ში, დავინახავთ, რომ მთელი ჩვენი დასაქმებაზე ორიენტირებული საექსპორტო პროდუქცია სწორედ რუსეთში მიდის, მაგალითად, ღვინის 65%. და, ეს ღვინო მარტო ქარხნებში მუშაობა ხომ არ არის, ამის მიღმა არის მთელი ჩვენი სოფლის მეურნეობის ნაწილი. ეს უკვე ათეულობით ათასი ადამიანის შემოსავალია. შესაბამისად, თუ ისინი თავის დროზე ვერ ჩააბარებენ პროდუქტს და არც ღვინის კომპანიებს დასჭირდებათ, ისევ ეს ადამიანები დაზარალებიან, – განაცხადა ვახტანგ ჭარაიამ.

ამასთან, ეკონომისტმა იმ ნეგატიურ შედეგებზეც გაამახვილა ყურადღება, რაც რუსული სანქციების შედეგად საქართველოს ტურიზმისა და ფულადი გადმორიცხვების ნაწილში ექნება.

– თუ ავიღებთ ტურიზმს, საიდანაც ჩვენ ვიღებთ შემოსავალს, გვაქვს სისტემატიური ზრდა ყოველწლიურად და მსოფლიო რეიტინგებში წარმატებულად ვპოზიციონირებთ, აქ რუსი ტურისტებიც შედიან. მართალია, მათი რაოდენობა წილობრივად დიდი არ არის, მაგრამ ხარჯვის ნაწილში, მთლიანი ტურისტულ დანახარჯებში, 25%-ს ტოვებენ. ეს დაახლოებით, 2 მილიარდი დოლარია, რომელიც ყოველწლიურად მზარდი დინამიკით ხასიათდება. მართალია, ეს 2 მლრდ დოლარი მთლიანად საქართველოში არ რჩება, რადგან მოგეხსნებათ, ტურიზმის ზრდასთან ერთად, იმპორტირებული პროდუქციის რაოდენობაც იზრდება, მაგრამ ამ 2 მლრდ-დან მესამედი ან მეოთხედი რომ საქართველოში რჩება, ესეც ძალიან დიდი თანხაა.

რაც შეეხება ფულად გზავნილებს, დაახლოებით, 300-400 მლნ დოლარზეა ყოველწლიურად საუბარი და ეს ფული ტურიზმისგან მიღებული შემოსავლისგან განსხვავებით, არის სუფთა მოგება. იმიტომ, რომ ეს ის თანხაა, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები იღებენ და მათი შეხედულებისამებრ ხარჯავენ.

ასეთ ვითარებაში მთავრობა მის ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს შეიძლება იყენებდეს, მაგრამ ამ ეტაპზე, ეს ვერ დააბალანსებს იმ დარტყმას, რომელიც მოდის რუსეთიდან. პირობითად, ადამიანს შეიძლება ჰქონდეს 10.000 დოლარი სესხი და მისი პროცენტი იყოს 1.000 დოლარი. 1.000 დოლარში მთავრობა შეეხიდება, 500 დოლარს გადაუხდის, მაგრამ ის 10.000 ხომ მაინც ამ ადამიანის დასაბრუნებელია?! და თუ მან შემოსავალი დაკარგა, საიდან გადაიხდის ამ თანხას?! შესაბამისად, მთავრობამ რომ ბიზნესის მაგივრად გადაიხადოს, ესეც შეუძლებელია, ამიტომ პრობლემა ნამდვილად არის, – განაცხადა ვახტანგ ჭარაიამ.

BPN

კახა კოჟორიძე: „მარტო გახარიას გადადგომა საკმარისი არ იქნება“

„ამ დღეებში სასამართლოს ბედი წყდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი, იურისტი **კახა კოჟორიძე** პასუხობს.

– ბატონო კახა, სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე ვართ. თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით როგორია?

– როცა საზოგადოების ერთი ჯგუფის პროტესტის ჩახშობას ცდილობენ მეორე ჯგუფის პროტესტით, ეს არის ძალიან მძიმე ამბავი. ეს იწვევს ერთმანეთისადმი დაპირისპირებას და ყველაზე ცუდი, ალბათ, რაც შეიძლება გააკეთონ საზოგადოებაში, არის ის, რომ ერთი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი ერთმანეთთან დააპირისპირონ.

მუდმივად ვეძებთ ხოლმე იმას, რა განგვასხვავებს ერთმანეთისგან, მაშინ როცა ძალიან ბევრი საერთოს მოძებნაა შესაძლებელი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასა და ჯგუფს შორის.

– კერძოდ?

– როცა ვსაუბრობთ მტერზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მნიშვნელოვანი მტერი გვყავს უმუშევრობისა და სიღარიბის სახით. ეს ყველას პრობლემაა, მასზე სიღრმისეული მსჯელობა საქართველოში კი არ მოგვისმენია.

ხშირ შემთხვევაში დაპირისპირების ხაზი გადის გამოგონილ თემებზე, რაც ძალიან მძიმე საყურებელია. გვიჭირს ხოლმე გაერთიანება ერთ-ერთ ისეთ მთავარ თემაზე, რაც არის ოკუპაცია. ამის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანი არ ვართ.

– ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი როგორია ამ ყველაფერში?

– როცა ასეთ დაძაბულობას ვხედავთ და ვიგებთ, რომ ისრაელიდან ჩამოუყვანიათ ადამიანი პიარტექნოლოგიების კუთხით, რომელმაც თავი დაგვამახსოვრა წინა საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში უბინძურესი პიარკამპანიის წარმოებით, ეს არის აბსოლუტურად გამაოგნებელი ამბავი.

ქვეყნის შიგნით განა გვაკლია ერთმანეთთან დაპირისპირება, რომ ღვარძლისა და შუღლის დათესვა გარედან იმპორტით გვჭირდებოდეს?!

– შავი პიარი აამუშავეს?

– დიახ და რატომ? იმისთვის, რომ საკუთარი ძალაუფლება გაიმყარო შენი საზოგადოების წევრების დასუსტების ხარჯზე?! ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი და არასწორი.

– რამდენად ელით, რომ კიდევ უფრო გამწვავდება სიტუაცია?

– როცა ასეთი ფეთქებადსაშიში სიტუაციაა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. როცა ველს ნაღმავ, უნდა იცოდე, რომ ერთი არასწორი მოძრაობა და ეს ნაღმი შეიძლება აფეთქდეს და ძალიან მძიმე სურათი მივიღოთ.

– რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ სიტუაციის განსამუხტად?

– ყველა სიტუაციაში კანონის უზენაესობის დაცვა არის საუკეთესო წამალი. ხელისუფლება უნდა იყოს მაგალითი იმისა, რომ თავად ასრულებს კანონის მოთხოვნებს და თავის ყოველდღიურ პოლიტიკაში უნდა აჩვენოს, რომ ეს კანონი, პირველ რიგში, მისი წევრების მიმართ მუშაობს, კანონი ყველასთან თანაბრად თანასწორია, კანონი ყველას შესაბამის და ადეკვატურ პასუხისმგებლობას აკისრებს.

ერთი ეს და მეორე ის, რომ ჩვენ უნდა ვისმენდეთ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან განცხადებებს სიტუაციის დეესკალაციის მიმართულებით და ვხედავდეთ კონკრეტულ მოქმედებებს.

– არაფერს აკეთებენ სიტუაციის განსამუხტად?

– ვერ ვხედავთ, რომ რამეს აკეთებდნენ. არც გეგმა ჩანს, არც კონკრეტული ქმედებები.

– გახარიას გადადგომა რამეს უშველის?

– მხოლოდ გახარიას გადადგომა ამ სიტუაციაში არ იქნება გამოსავალი, თუ ყველამ ერთად და, პირველ რიგში, ხელისუფლებამ არ გავიაზრეთ, რომ თითოეულ ჩვენგანს გვაქვს პასუხისმგებლობები და ვალდებულებები.

დემოკრატიაში თავისუფლება მუშაობს იმ შემთხვევაში, როდესაც თითოეულ საზოგადოების წევრს და, პირველ რიგში, ძალაუფლების მქონე სუბიექტებს აქვთ გაცნობიერებული საკუთარი ვალდებულებები. თავისუფლება ვალდებულების გარეშე არ მუშაობს და არ ფუნქციონირებს.

მოქალაქესაც, პარტიასაც, ტელევიზიასაც და, პირველ რიგში, ხელისუფლებას აქვს ვალდებულებები. ეს ვალდებულებები უნდა შევასრულოთ. სხვა შემთხვევაში ძალიან რთული და მძიმე სიტუაცია იქნება.

– გახარია უნდა წავიდეს თუ არა? ამაზე არ გიპასუხიათ.

– გახარიას გადადგომას მე ვუერთდებოდი და ვუერთდები, მაგრამ ეს არ იქნება სისტემურად პრობლემის გადაწყვეტა. ჩვენ უნდა მოვრჩეთ ერთმანეთის ლანძღვას, მოღალატეების ძახილს.

არ შეიძლება, რომ საგარეო კურსის გამო რომელიმე პარტიამ მეორე პარტია მოღალატედ ჩათვალოს. მე დასავლური კურსის მქონე პიროვნება ვარ, ევროპაში ინტეგრაცია უნდა გავაგრძელოთ, მაგრამ ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ის ადამიანები, რომლებიც სხვანაირად ფიქრობენ, არიან ამ ქვეყნის მტრები. არ უნდა დავუპირისპირდეთ ერთმანეთს იმის გამო, რომ სხვადასხვა ხედვა გვაქვს.

– ძალიან რთულია ამ სიტუაციაში პროგნოზი, მაგრამ მაინც, რას ელოდებით? რა იქნება?

– ძნელი სათქმელია. მე მაინც იმედი მაქვს, რომ 90-იანების ბნელ წარსულში არ ჩავეშვებით. ჩვენი სახელმწიფო დღეს სხვანაირად ძლიერია. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე სიტუაცია გვაქვს და მმართველობითი კრიზისია, მაინც, ნებისმიერ შემთხვევაში ინსტიტუტები ისეა განვითარებული, რომ ღმერთმა დაგვიფაროს, იმ სიტუაციამდე მივიდეთ.

სიტუაციის დეესკალაციისთვის კარგი იქნება, თუ შინაგან საქმეთა მინისტრი ამას გაიაზრებს და გადადგება. მე არ ვამბობ, რომ გახარია საერთოდ პოლიტიკური არენიდან უნდა გაქრეს. უბრალოდ, ის უნდა გადადგეს. თუ მისი გუნდი ფიქრობს, რომ ბატონ გახარიას აქვს ის პოლიტიკური უნარი, მოხერხება და წონა, რომ ღირებული და ძვირფასია გუნდისთვის, დაახლოებით ერთ წელიწადში მოდის საპარლამენტო არჩევნები, ჩაუდგეს გუნდს სათავეში და პარტიული სიის პირველი ნომერი იყოს.

– თავიდან მოიპოვოს ლეგიტიმაცია?

– დიახ, აი, ასე მოიხვეჭოს თავისი ლეგიტიმაცია ხელახლა. მე ნამდვილად არ მიხარია, როდესაც პოლიტიკური ფიგურები ისეთ შეცდომას უშვებენ, რომ მერე ლეგიტიმაციას კარგავენ, ეს სახელმწიფოს არ აწყობს და სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის. თუმცა ეს უკვე მოხდა და აღარაფერი ეშველება.

ძალიან ძნელია, რომ მისი ლეგიტიმაცია აღდგეს, ამიტომ, კარგი იქნება, თუ ის გადადგება. თუმცა გახარიას გადადგომით ყველაფერი არ სწორდება და არ გვარდება.

ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია მოსაგვარებელი, რომელმაც ამ პროცესების გამო უკანა პლანზე გადაიწია. ამ დღეებში სასამართლოს ბედი წყდება, თუ როგორი სასამართლო გვექნება შემდეგი 20-30 წლის განმავლობაში და დღეს ამაზე არავინ საუბრობს.

„ლარის კურსი გარბის მხოლოდ ერთი მიზეზით — საჭიროა აქტიური ქმედება და საუბარი, თუ რას აპირებს მთავრობა“

კომერციულ ბანკებში ერთი აშშ დოლარის ღირებულება 2.97 ლარს აჭარბებს. ეროვნული ვალუტის მერყეობას „ფეისბუქის“ პირად გვერდზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უფროსი ანალიტიკოსი ბესო ნამჩავაძე ეხმაურება.

„ბიზნესპრესნიუსი“ მის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

– ლარის კურსი გარბის მხოლოდ ერთი მიზეზით: რუსეთისგან მოსალოდნელმა სანქციებმა გამოიწვია პანიკა – რუსეთიდან დოლარები რომ აღარ შემოვა, ლარი გაუფასურდება და ჯობია დღესვე ვიყიდო. თუმცა, ვინც ახლა გარბის და 2.95-ად ყიდულობს, ნუ იქნება დარწმუნებული, რომ ახლო მომავალში უფრო იაფად ვერ იყიდდა.

ლარის კურსი არ არის დამოკიდებული მხოლოდ რუსეთიდან შემოსულ დოლარზე, ყველა ქვეყნიდან ჯამურად შემოსულ დოლარზეა დამოკიდებული. ასევე, ქვეყნიდან გასულ დოლარზე არანაკლებადაა დამოკიდებული, მეტად თუ არა.

შესაბამისად, რუსეთიდან მოსალოდნელ დანაკლისს თუ გადაფარავს სხვა ქვეყნიდან დოლარის შემოსვლის ზრდა (თუნდაც სესხების), ეს დანაკლისი დაბალანსდება. ამასთან, ლარის კურსის დაცემა შეამცირებს იმპორტს, ანუ ქვეყნიდან დოლარის გასვლას. ამიტომ, ახლა მთავრობის დუმილი კი არა, საჭიროა აქტიური ქმედება და საუბარიც, რას აპირებენ, – წერს ნამჩავაძე.

BPN

რა ხელფასი ექნება ეროვნული ბანკის ყოფილ ვიცეპრეზიდენტს „ლიბერთიში“

ეროვნული ბანკის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი მურთაზ კიკორია საქმიანობას „ლიბერთი ბანკში“ გააგრძელებს.

ამის შესახებ რეესტრში ცვლილება გასული თვის ბოლოს აისახა. კერძოდ, რეესტრის 28 ივნისის ამონაწერით, კიკორია „ლიბერთის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

„ლიბერთის“ აქციების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის „ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი“-ს გადაწყვეტილებით, კიკორია „ლიბერთი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად ოთხი წლის ვადით აირჩიეს. რაც შეეხება მის ანაზღაურებას, კიკორიას ყოველთვიური დარიცხული ხელფასი 12,500 ამერიკული დოლარი იქნება, რომლის გადახდაც „ბანკის“ სახელფასო პოლიტიკის შესაბამისად მოხდება.

შეგახსენებთ, რომ მურთაზ კიკორიამ სებ-ი 2018 წლის ნოემბრიდან დატოვა. ის ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტის პოსტს 2016 წლის დეკემბრიდან იკავებდა. მანამდე კი „საქართველოს ბანკის“ აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა.

რაც შეეხება „ლიბერთის“, ბანკის საბჭოს წევრი/თავმჯდომარე ირაკლი რუხაძე, წევრები კი, კიკორიას გარდა, დავითი შონია და მამუკა წერეთელი არიან.

BPN

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პროფესორი თენგიზ ცერცვაძე ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა

2019 წლის 3 ივლისს, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ თენგიზ ცერცვაძის 70 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა.

საიუბილეო საღამოს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე, ხელისუფლების წარმომადგენლები, სტუდენტები, პროფესორები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

საღამოზე ნაჩვენები იქნა ფილმი, რომელიც თენგიზ ცერცვაძის შემოქმედებით ბიოგრაფიას ასახავს. საღამოზე აღინიშნა, რომ თენგიზ ცერცვაძე არის საქართველოში აივ/შიდსის სამსახურის ფუძემდებელი, რომლის ძალისხმევითაც ქვეყანამ აიცილა აივ/შიდსის ფართომასშტაბიანი ეპიდემია, მისგან გამომდინარე უდიდესი ადამიანური მსხვერპლით და სერიოზული ეკონომიკური ზარალით. იგი აგრეთვე არის უპრეცედენტო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ინიციატორი და განმახორციელებელი.

საღამოზე აღინიშნა, რომ 2009 წელს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრმა თენგიზ ცერცვაძის ხელმძღვანელობით აივ/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების დარგში განსაკუთრებული მიღწევებისა და პიონერული კვლევებისთვის (ჯანმო-ს ფორმულირებით) მიიღო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უმაღლესი ჯილდო – Dr. Lee Jong-Wook-ის პრემია, რომლის მსგავსიც არ აქვს მიღებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების არც ერთ სხვა სამედიცინო დაწესებულებას.

თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისთვის თენგიზ ცერცვაძე უმაღლესი აკადემიური ჯილდოთი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დააჯილდოვა.

„თენგიზ ცერცვაძე ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც ქმნის ეპოქას, ქვეყნის ისტორიას. შიდსის ცენტრის ჩამოყალიბება და C ჰეპატიტის ელიმინაციის წარმატებული პროგრამის დანერგვა საქართველოში მის სახელს უკავშირდება. ამასთან, ის არის ძალიან კარგი მკვლევარი, მასწავლებელი, პროფესორი, ექიმთა მთელი პლეადის აღმზრდელი“ – აღნიშნა თსუ-ს რექტორმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ჯანმრთელობის დაცვის სფეროს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და საქართველოს წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის თენგიზ ცერცვაძე ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა.

„თქვენ, თქვენი მოღვაწეობით მსოფლიოს ორი, ძალიან მძიმე დაავადება დაამარცხეთ. ეს ძალიან დიდი მიღწევა და გამარჯვებაა მსოფლიოსა და ჩვენი პატარა ქვეყნისათვის. თქვენ ხართ მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გაატარო შენი ცხოვრება, აიღო ინიციატივა, იყო მასზე პასუხისმგებელი და ბოლომდე მიიყვანო დაწყებული საქმე“ – განაცხადა საღამოზე საქართველოს პრეზიდენტმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ თენგიზ ცერცვაძეს საიუბილეო თარიღი მიულოცა და გლობალური გამოწვევების თაობაზე მის უდიდეს ღვაწლზე ისაუბრა. მან აღნიშნა თენგიზ ცერცვაძის დამსახურება და ღვაწლი საქართველოში აივ/შიდსის საწინააღმდეგო სამსახურისა და C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის შექმნაში.

საიუბილეო საღამოს თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დიმიტრი კორძაია უძღვებოდა.

პრობლემად რჩება კორუფციის რისკები, რომლებიც ყოფილი თანამდებობის პირების კერძო სექტორში გადანაცვლებას უკავშირდება

საქართველოში პრობლემად რჩება კორუფციის რისკები, რომლებიც ყოფილი თანამდებობის პირების კერძო სექტორში გადანაცვლებას უკავშირდება, – ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევაშია ნათქვამი.

ორგანიზაციის განცხადებით, აღნიშნულის მიზეზი, ერთი მხრივ, შესაბამისი საკანონმდებლო ნორმის ხარვეზები, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ნორმის პრაქტიკაში აღსრულების მექანიზმის არარსებობაა.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“ აცხადებენ, საჯარო და კერძო სექტორებს შორის სამსახურეობრივი გადაადგილება (რაც „მბრუნავი კარის“ სახელით არის ცნობილი) ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის რისკს შეიძლება შეიცავდეს, როდესაც ასეთი გადაადგილება ერთი სექტორის ფარგლებში ხდება.

– მაგალითად, თანამდებობის პირმა, რომელიც ამა თუ იმ სფეროს რეგულირებაში მონაწილეობს, შეიძლება საკუთარი თანამდებობა კერძო კომპანიის სასარგებლოდ გამოიყენოს იმ მოლოდინით, რომ შემდგომ იმავე კომპანიაში მაღალანაზღაურებად სამსახურს მიიღებს. გარდა ამისა, კერძო კომპანიაში გადანაცვლებულმა ყოფილმა თანამდებობის პირმა ხელისუფლებაში შემორჩენილი კავშირები და გავლენა შეიძლება ლობირებისთვის და ამ კომპანიისთვის უსამართლო უპირატესობის მოსაპოვებლად გამოიყენოს.

ამ საფრთხეების პრევენციისთვის მნიშვნელოვანია მსგავსი შემთხვევების მონიტორინგი და აღრიცხვა. ამასთან, არაერთ ქვეყანაში გამოიყენება „გაგრილების პერიოდის“ მექანიზმი, რომელიც ყოფილ თანამდებობის პირებს საჯარო სამსახურის დატოვების შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში კერძო სექტორის ზოგიერთი კატეგორიის სამსახურში დასაქმებას უკრძალავს, – აღნიშნავენ ორგანიზაციაში.

მათივე განმარტებით, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის თანახმად: „განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, განთავისუფლების დღიდან 1 წლის განმავლობაში მუშაობა დაიწყოს იმ საჯარო დაწესებულებაში ან საქმიანობას ახორციელებდეს იმ საწარმოში, რომელსაც იგი ბოლო 3 წლის განმავლობაში სისტემატურად ზედამხედველობდა სამსახურებრივად. ამ ხნის განმავლობაში მას აგრეთვე უფლება არა აქვს, მიიღოს შემოსავალი ასეთი საჯარო დაწესებულებიდან ან საწარმოდან“. თუმცა, როგორც ორგანიზაციაში აღნიშნავენ, კანონის პრაქტიკაში აღსრულება პრობლემურია, რადგან ის არ შეიცავს „სისტემატური ზედამხედველობის“ განმარტებას და ცხადი არ არის, თუ რომელ შემთხვევებზე შეიძლება გავრცელდეს ხსენებული შეზღუდვა.

„საჯარო სამსახურის ბიუროს განმარტებით (რომელიც, ბიუროს განცხადებით, სარეკომენდაციო ხასიათისაა), ამ მუხლის მიზნებისთვის, თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საწარმო იგივეა, რაც თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირი, ამდენად, სამსახურებრივი ზედამხედველობა წარმოადგენს „მმართველობის იერარქიული კონტროლის ფუნქციის უზრუნველყოფის საშუალებას.“ ამ განმარტების თანახმად, ყოფილ თანამდებობის პირს ერთი წლის განმავლობაში აეკრძალება დასაქმება მხოლოდ საჯარო სამსახურის სისტემაში არსებულ იმ დაწესებულებაში, რომელსაც ის მანამდე სამსახურეობრივად ზედამხედველობდა. ანუ, ბიუროს განმარტებიდან გამომდინარე, ეს ნორმა არ ზღუდავს თანამდებობის პირის კერძო სექტორში გადასვლას (ხოლო მსგავსი ნორმის მიზანი სწორედ საჯარო სექტორიდან კერძო სექტორში გადასვლისას წარმოქმნილი რისკების შემცირება უნდა იყოს). ბუნდოვანია ფორმულირება „ბოლო 3 წლის განმავლობაში სისტემატურად ზედამხედველობის“ შესახებ – გაუგებარია, იგულისხმება უწყვეტად ზედამხედველობა 3 წლის განმავლობაში თუ ზედამხედველობა ნებისმიერი ხანგრძლივობით ბოლო 3 წლის განმავლობაში (პირველ შემთხვევაში, ნორმა დიდწილად უსარგებლო იქნება). ამასთან, კანონი არ ადგენს, თუ რომელი უწყებაა პასუხისმგებელი აღნიშნული ნორმის აღსრულების ზედამხედველობაზე. საჯარო სამსახურის ბიუროს ცნობით, ბიურო არ ფლობს ინფორმაციას ამ ნორმის დარღვევის ან მისი გამოყენების პრაქტიკის შესახებ, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ბოლო წლების საყურადღებო შემთხვევების შესახებ ინფორმაციასაც აქვეყნებს, სადაც აღნიშნულია, რომ მარეგულირებელი სისტემის ზემოხსენებული ხარვეზების გამო, განხილვისა და რეაგირების გარეშე რჩება ყოფილი თანამდებობის პირების კერძო სექტორში დასაქმების ისეთი შემთხვევები, რომლებიც ინტერესთა კონფლიქტის ნიშნებს შეიცავს.

– ბოლო წლებში მომხდარი მსგავსი შემთხვევებიდან აღსანიშნავია: ენერგეტიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე მარიამ ვალიშვილის დანიშვნა სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის მრჩევლად. თბილისის მერის ყოფილი მოადგილე ნატო ქიტიაშვილის დანიშვნა „m² უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის მოადგილედ ნებართვების, ლიცენზიებისა და იურიდიული მხარდაჭერის საკითხებში. საგზაო დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე გივი ჩოჩიას გადასვლა თურქულ კომპანიაPOLAT YOL & MAPA-ში, რომელმაც ბათუმის შემოვლითი გზის 329 მილიონ ლარის ღირებულების ტენდერი მოიგო. საგზაო დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე ზაზა სიმონიას გადასვლა ჩინურ კომპანიაSinohydro-ში, რომელიც 253 მილიონ ლარად ჩქაროსნული მაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთს აშენებს (მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სიმონია იმ სატენდერო ჯგუფის წევრი იყო, რომელმაც Sinohydro-ს დაფინანსება მისცა).

საგზაო დეპარტამენტის სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე ირაკლი ხერგიანის გადასვლა კომპანია დოჰვა ინჟინერინგში, რომელიც საგზაო სამუშაოების შესრულებას უწევს მონიტორინგს (მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხერგიანი იყო იმ კომისიის წევრი, რომლის გადაწყვეტილებითაც ამ კომპანიამ ტენდერები მოიგო), – აღნიშნულია ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

ამასთან, ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ვრცელდება სახელმწიფო საწარმოებსა და იქ დასაქმებულ პირებზე.

– შესაბამისად, ამ კონტექსტში „მბრუნავი კარის“ პრინციპი და მისგან მომდინარე კორუფციული რისკები საკმაოდ მაღალია. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც არ ხდება მსგავსი შემთხვევების აღრიცხვა და მონიტორინგი.

მაგალითად, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 2019 წლის 22 მაისს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორმა „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ დაარეგისტრირა შპს „ინტერ რაო საქართველო“, როგორც ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებელი. „ინტერ რაო საქართველოს“ დირექტორი ვახტანგ ამბოკაძეა. მან აღნიშნული კომპანია ბაგებში საკუთარ ბინაში დაარეგისტრირა. ვიდრე ამბოკაძე ამ პოსტს დაიკავებდა, იქამდე წლების განმავლობაში ის ესკო-ს გენერალური დირექტორი იყო. ესკოს აქციების 100%-ის მფლობელი სს საპარტნიორო ფონდია. ესკო ექსკლუზიურად ახორციელებს საბალანსო ელექტროენერგიითა და გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობას, სეზონური საჭიროების მიხედვით, ელექტროენერგიის იმპორტსა და ექსპორტს, საბითუმო აღრიცხვის კვანძების ინსპექტირებას; გვევლინება ახლად აშენებული ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გარანტირებულ შემსყიდველად, – აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ „მბრუნავი კარის“ საკითხთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის რისკების ეფექტურად დასარეგულირებლად აუცილებელია, რომ კანონს დაემატოს შესაბამისი ტერმინების განმარტებები (ან შეიცვალოს შესაბამისი ნორმის ამჟამინდელი ფორმულირება), რათა აღმოიფხვრას ორაზროვნება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი კატეგორიის შემთხვევებზე ვრცელდება კანონით განსაზღვრული შეზღუდვები; ასევე, კანონით მკაფიოდ განისაზღვროს უწყება, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ყოფილი თანამდებობის პირების მიერ კანონის მოთხოვნების დაცვას. ამასთან, კანონით დადგენილი შეზღუდვები გავრცელდეს სახელმწიფო საწარმოების ყოფილ ხელმძღვანელ პირებზე იმ შემთხვევებში, სადაც ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის რისკები არსებობს.

კომერსანტი

შეიძლება, ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფი გადაიხედოს

ეკონომიკის დოქტორი ნიკა შენგელია „კომერსანტთან“ ლარის რეკორდული გაუფასურების მიზეზებს ხსნის და აცხადებს, რომ ასეთ სიტუაციაში ეროვნულმა ბანკმა მცირედი ინტერვენციებით უნდა იმოქმედოს. მთავრობა კი შექმნილ პოლიტიკურ კრიზისს თუ არ აღმოფხვრის, ლარის კურსი ახალ წონასწორობის ნიშნულზე, 3-ზე დაფიქსირდება.

– ფაქტობრივად, მოლოდინები გადავიდა რეალობაში, გაჩერდა ექსპორტი, დიდი რიგებია ლარსის საზღვარზე, თითოეულ მანქანაზე დაახლოებით 20 000-30 000 ლარის საქონელია. თანხა, რომელიც უნდა შემოსულიყო ქვეყანაში არ შემოვიდა, ტურისტები გავიდნენ ქვეყნიდან, ავიამიმოსვლა გაჩერდა. გასულ წელს, მარტო რუსეთიდან შემოსული საქონლის ღირებულება 438 მილიონი აშშ დოლარი იყო. ამას თუ დავამატებთ ტურისტებიდან დაკარგულ დაახლოებით 500 მილიონ აშშ დოლარს, გამოდის, რომ 1 მილარდ დოლარს კარგავს ქვეყანა. ლარის კურსის გაუფასურებაც სწორედ ამ ყველაფრის შედეგია, – აცხადებს შენგელია.

მისი განმარტებით, ქვეყანა რამდენიმე დღეში გაძვირების მორიგ ტალღას მიიღებს. უფრო მეტიც, თუ კურსი 2.85-იან ნიშნულზე შენარჩუნდება, აგვისტო-სექტემბერში დენისა და გაზის ტარიფების გადაანგარიშებები თავიდან მოხდება.

– ამას კომპანიები მოითხოვენ. რუსეთი ყველა ღონეს იხმარს, რომ აზერბაიჯანულ გაზზე ფასები გაძვირდეს, – აღნიშნავს შენგელია.

როგორც ცნობილია, Bloomberg-ის გაცვლითი კურსის მაჩვენებლებით, ამ დროისათვის ერთი აშშ დოლარის ღირებულება 2.91 ლარია. საქართველოს ეროვნული ბანკი ვალუტის განახლებულ ოფიციალურ კურსს დღეს საღამოს გამოაქვეყნებს.

8 ივლისს ეროვნული ვალუტა დოლართან 3.08 თეთრით, ხოლო ევროსთან მიმართებით 2.31 თეთრით გაუფასურდა. ოფიციალური კურსით, ერთი აშშ დოლარი 2.832 ლარი ღირს, ხოლო ერთი ევრო 3.1778 ლარი.

ოფიციალური კურსით, ორი თვის წინანდელ მონაცემებთან შედარებით, დოლართან მიმართებით ეროვნული ვალუტა 10 თეთრითაა გაუფასურებული. გაზაფხულზე გაუფასურების შემდეგ, ლარს ივნისის პირველ ნახევარში გამყარების ტენდენცია ჰქონდა, თუმცა ივნისის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ეროვნული ვალუტა კვლავ გაუფასურებას განაგრძობს.

კომერსანტი

„ჩვენი კომპანიისთვის რუსული ემბარგო დამაქცევარი არ იქნება“

„ჩვენი კომპანიისთვის რუსული ემბარგო დამაქცეველი არ იქნება“.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ „წყალი მარგებელის“ დამფუძნებელმა ავთანდილ სვიმონიშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, ამ დროისთვის მთლიან ექსპორტში რუსეთის წილი დაახლოებით 5-7%-ს შეადგენს.

– 2006 წელს, როდესაც რუსეთმა ემბარგო დაგვიწესა, მაშინ ძირითადად რუსულ ბაზარზე გაგვქონდა ჩვენი პროდუქტი. შემდგომ ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა გვირჩიეს, რომ ცოტა ფრთხილად ვყოფილიყავით. შესაბამისად, დავიწყეთ სხვა ბაზრების ათვისება. ამჯერად, ძირითადად წარმოდგენილები ვართ დსთ-ს წევრი სხვა ქვეყნების ბაზარზე და როგორც უკვე ვთქვი, რუსეთის წილი დაახლოებით 5-7%-ია, – განაცხადა სვიმონიშვილმა.

ბიზნესმენი ამბობს, რომ შესაძლო ემბარგო ძირითადად „ბორჯომს“ დააზარალებს: IDS Borjom-ის მფლობელი არის ფრიდმანი და გამოდის, რომ რუსები თავის თავს უფრო დააზარალებენ, – დასძინა სვიმონიშვილმა.

BPN

შალვა ალავერდაშვილი: „უკვე ალარც გვეკონტაქტებიან, უბრალოდ, ჯავშნებს გვიუქმებენ“

„მთავრობა ხართ თუ ოპოზიცია, იქნებ თქვენთვის იჩხუბოთ ერთმანეთში და ჩვენ გვაცადოთ საქმის კეთება!“

ამის შესახებ სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებელი შალვა ალავერდაშვილი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ეხმაურება.

„ბიზნესპრესნიუსი“ მის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

– ყველას კარგად გვახსოვს როგორ დაიწყო 2019 წელი. ჯერ იყო ვირუსების გამო საკმაოდ დიდი ზარალი ნახა ტურიზმის სექტორმა, მერე თითქოს ფეხზე წამოდგომა დავიწყეთ, მაისმა იანვარი დააბალანსა, ივნისი უკვე თებერვალს ავსებდა და მერე მოხდა გავრილოვი. ეს ის თემაა, როცა მტყუან-მართალი ისტორიამ უნდა გამოაჩინოს. ჩვენ ყველამ ერთად დავიწყეთ 24-საათიანი მუშაობა, რომ ერთად არ მივსულიყავით იმ შედეგამდე რაც ციფრებით მინუს 2 მილიარდ ლარს უდრის. ცოტა რაღაცები გამოვასწორეთ, ცოტა მეტი ადამიანი დავარწმუნეთ იმაში რომ მაინც საქართველოში დაესვენათ, ყველამ ერთად დავიჯერეთ რომ შეგვიძლია არ დავნებდეთ და ჩვენი შრომა შედეგს გამოიღებს და მერე იყო გუშინდელი განცხადება. დღეს დილიდან უკვე აღარც გვეკონტაქტებიან. უბრალოდ, გვიუქმებენ ჯავშნებს.

არ ვართ ჩვენ არავისტები, ჩვენ საქართველოისტები ვართ, ამ ქვეყნისთვის ვმუშაობთ, უამრავ გადასახადებს ვიხდით ბიუჯეტში და ვცდილობთ აქ ჩამოსული სტუმარი ბედნიერი გავუშვათ, ვცდილობთ ყველაფერ ქართულს მაქსიმალური პოპულიზაცია გავუკეთოთ, ვცდილობთ მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი ქართულ წარმოებებს და რაც შეიძლება მეტი ქართული პროდუქცია შევიძინოთ და ა.შ. მოკლედ, მთავრობა ხართ თუ ოპოზიცია, იქნებ თქვენთვის იჩხუბოთ ერთმანეთში და ჩვენ გვაცადოთ საქმის კეთება და გპირდებით ორივეს შეგინახავთ, ორივეს გეყოფათ ჩვენი გადახდილი გადასახადები, ორივე კარგად იქნებით თუ ჩვენ დაგვაცდით ბიზნესის წარმოებას და თქვენ პარტიულ ვნებებს ნუ გადააყოლებთ ქვეყანას, – წერს ალავერდაშვილი.

BPN

სერგო მეთოფიშვილი ნაზი ჯანეზაშვილს ინტერესთა კონფლიქტში ადანაშაულებს

გუშინ, 9 ივლისს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი სერგო მეთოფიშვილი საბჭოს არამოსამართლე წევრს ინტერესთა კონფლიქტსა და ორმაგ სტანდარტში ადანაშაულებს.

როგორც სერგო მეთოფიშვილმა საბჭოს გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, მაშინ, როცა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 137-კაციანი სიის შერჩევა ხდებოდა და სადაც მოსამართლეობის მსურველებად წარმოდგენილები იყვნენ იურისტები არჩილ ჩოფიკაშვილი და დიმიტრი ხაჩიძე, ამ სიის შერჩევაში მონაწილეობას ნაზი ჯანეზაშვილიც იღებდა. სერგო მეთოფიშვილის განმარტებით, ჩოფიკაშვილი, ხაჩიძე და ჯანეზაშვილი „კონსტიტუციის 42-ე მუხლში“ ერთად მუშაობდნენ და ვარაუდობს, რომ ამ კანდიდატებს ხმა მისცა ნაზი ჯანეზაშვილმა, როგორც ყოფილ თანამშრომლებს.

მეთოფიშვილის თქმით, ჩოფიკაშვილი და ხაჩიძე ჯანეზაშვილის ყოფილი თანამშრომლები რომ არიან, ამის შესახებ ჯანეზაშვილს უნდა განემარტა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევს, რომ ეს არის ინტერესთა კონფლიქტი.

– პერიოდულად, თქვენ ერთმანეთს ცვლიდით ხელმძღვანელ თანამდებობაზე. ხან ერთი იყო გამგეობის თავმჯდომარე, ხან მეორე და ხან მესამე. ამ „კარუსელს“ თქვენ აქაც ატრიალებდით. ახლა თქვენ, ამ „კარუსელის“ დატრიალება გინდოდათ სასამართლო სისტემაშიც, როდესაც დიდი ვარაუდი მაქვს, რომ რაც ხმები მოაგროვა ხაჩიძემ და ჩოფიკაშვილმა, ეს არის თქვენ მიერ მიცემული ხმები. თქვენ დამალეთ ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი, – განაცხადა მეთოფიშვილმა.

ნაზი ჯანეზაშვილი მეთოფიშვილის ამ არგუმენტს უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

– ეს არის სერგო მეთოფიშვილის მცდელობა, რომ უპასუხოს ჩემს ბრალდებებს თამარ ონიანთან და ირაკლი შენგელიასთან დაკავშირებით, – განაცხადა ჯანეზაშვილმა.

ამასთან, მოსამართლე სერგო მეთოფიშვილი გამოეხმაურა ნაზი ჯანეზაშვილის განცხადებას, რომლის თანახმად, გიორგი მიქაუტაძეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კანდიდატად დარეგისტრირებისთვის სამის ნაცვლად ერთი რეკომენდატორი ჰყავდა.

– მინდა ვკითხო ნაზი ჯანეზაშვილს, მარტო გიორგი მიქაუტაძეს აქვს მითითებული ერთი რეკომენდატორი, თუ სხვა კანდიდატებიც არსებობს ასეთი?! ახლა შეგნებულად არ დავასახელებ მათ სახელებს, მაგრამ, საქმე ის არის, რომ იგივე ანალოგიურ მდგომარეობაში სხვა კანდიდატს უჭერს მხარს და გიორგი მიქაუტაძეს ბლოკავს. ამაზე მეტი მიკერძოებულება რა არის?! – განაცხადა მეთოფიშვილმა.

პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმეზე „მასტერა“ დაიკითხა

გუშინ, 9 ივლისს, ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმეზე მთავარი მოწმე, გიორგი დგებუაძე, იგივე მასტერა დაიკითხა.

მან პროცესზე საგამოძიებო უწყების კითხვების უმეტესობას თავი აარიდა და მიზეზად სტრესი დაასახელა, თუმცა გაიხსენა, რომ იცნობს ბადრი პატარკაციშვილის დაცვის ყოფილ წევრ მამუკა შაროვს, რომელიც ადრე გავრცელებულ სკანდალურ აუდიოჩანაწერში ფიგურირებს.

გუშინ სასამართლოს წინაშე ირაკლი ოქრუაშვილის დაკითხვაც იგეგმებოდა, თუმცა, როგორც პროკურორმა განმარტა, ოქრუაშვილმა ქვეყანა მათთან შეუთანხმებლად დატოვა.

ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმეზე 11 ივნისს ერთ-ერთი მთავარი მოწმე დაიკითხა. კერძოდ, პატარკაციშვილის დაცვის წევრი, რომლის გადაბირებასაც კუდის ყოფილი მაღალჩინოსანი, გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“ ცდილობდა.

მამუკა შაროვი და „მასტერა“ იმ აუდიოჩანაწერის მონაწილეები არიან, რომელშიც, როგორც გამოძიებამ დაადგინა, მკვლელობის მომზადებაზეა საუბარი. მოწმემ პროცესი უკომენტაროდ დატოვა.

გასული წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმესთან დაკავშირებით, ფარული ჩანაწერები გაავრცელა. ჩანაწერების მიხედვით, კუდის ყოფილი მაღალჩინოსნები ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობას გეგმავენ, მათ შორის, ცდილობენ ბიზნესმენის დაცვის წევრის გადაბირებას.

ამასთან, ჩანაწერების თანახმად, პატარკაციშვილის ლიკვიდაცია მიხეილ სააკაშვილის მიერ იყო სანქცირებული.

დიდ ბრიტანეთში პატარკაციშვილის ცხედარს ექსპერტიზა 14 დღე უტარდებოდა. სკოტლანდ იარდის საბოლოო დასკვნით, გარდაცვალების მიზეზი გულის იშემიური დაავადება იყო.

„ცეცხლი რომ გაჩნდა, ბავშვს კარში გასაღები ჩაუტყდა და ველარ აღებდა“ გორში მეხანძრე-მაშველებმა 16 წლის გოგონა გადაარჩინეს

მეხანძრე-მაშველებმა გორში 16 წლის გოგო გადაარჩინეს.

გუშინ, 9 ივლისს, გორში, მშვიდობის ქუჩაზე, პირველ სართულზე, ხანძარი გაჩნდა. ამ დროს ბინაში 16 წლის გოგონა იმყოფებოდა. მეზობლების თქმით, გოგონას კარში გასაღები ჩაუტყდა.

– დაახლოებით ნახევარი საათი ვეწვალებოდით, რომ გამოგვეყვანა. გასაღები ჩაუტყდა ბავშვს და ველარ აღებდა. მერე დედამისიც მოვიდა. გარედანაც ვეწვალებოდით, მაგრამ არაფერი გამოგვდიოდა. რკინის კარს რას უზამ? სამაშველო რომ მოვიდა, კორპუსის უკანა მხრიდან აივანზე ავიდნენ და იქიდან ჩამოიყვანეს ბავშვი.

დაკვამლიანების გამო საავადმყოფოში გადაიყვანეს, – უთხრეს მეზობლებმა „ქართლს“.

მოგვიანებით მომხდარზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა განცხადება გაავრცელა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა შეტყობინება, რომ გორში, მშვიდობის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე ხანძარი გაჩნდა.

შეტყობინების მიღებისთანავე, ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველთა ჯგუფები, პოლიციის ეკიპაჟები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები.

ადგილზე მისვლისთანავე, ძლიერი დაკვამლიანების გამო, მეხანძრე-მაშველებს ფანჯრის გისოსების მოხსნა და სახლში ამ გზით შესვლა მოუწიათ. სახლში მეხანძრე-მაშველებს 16 წლის გოგონა დახვდათ, რომელიც შენობიდან უვნებლად გამოიყვანეს. ის ადგილზე შეამოწმა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ და პროფილაქტიკის მიზნით საავადმყოფოში გადაიყვანა. მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

არსებობდა ცეცხლის დიდ ფართობზე გავრცელების საფრთხე, თუმცა მეხანძრე-მაშველების სწრაფი რეაგირების შედეგად მოხერხდა ხანძრის დროული ლოკალიზება. ხანძრის ქრობის პროცესში ჩართული იყო 2 სახანძრო და 1 სამაშველო ჯგუფი.

ამ დროისათვის ხანძარი ლიკვიდირებულია. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს ნივთის დაზიანებას ან განადგურებას ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით“ – აღნიშნულია განცხადებაში.

წითელ ხიდზე 18.984.63 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები გამოავლინეს

წითელ ხიდზე 18.984.63 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები გამოავლინეს.

„საბაჟო-გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“ არადეკლარირებული საქონლის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტი აღიკვეთა. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, თურქეთის მოქალაქე კ.ს-ს მართვის ქვეშ არსებული ავტობუსისა და აზერბაიჯანის მოქალაქის ე.ტ-ს კუთვნილი ხელბარგის დათვალიერების შედეგად 18.984.63 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს (87.92 გრამი) ნაკეთობები გამოავლინეს.

საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა“, – აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ევროკავშირის სამოქალაქო ოპერაციების მეთაურს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა ევროკავშირის სამოქალაქო ოპერაციების მეთაურთან, ვინჩენცო კოპოლასთან შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე მხარეებმა საოკუპაციო ხაზთან და ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების მიმართულებით არსებული ვითარება და მთავარი გამოწვევები მიმოიხილეს. საუბარი შეეხო კონფლიქტის გადაჭრის პროცესზე ჰიბრიდული საფრთხეების გავლენას, მათ შორის რეგიონულ დონეზე. მხარეებმა ასევე ისაუბრეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას (EUMM) შორის თანამშრომლობის საკითხებზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) ხელმძღვანელი ერიკ ჰოეგი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე გრიგოლ ღილუაშვილი, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ირაკლი ანთაძე და ადმინისტრაციის უფროსი ნინო გიორგობიანი.

„ქარვასლაში“ ბომბს ეძებდნენ

გუშინ, 9 ივლისს, თბილისში, დადიანის ქუჩაზე, სავაჭრო ცენტრ „ქარვასლაში“ მოქალაქეების ევაკუაცია განხორციელდა.

– დაახლოებით 12:00 საათზე ერთ-ერთმა პირმა რიგით მომხმარებელს უთხრა, რომ ნაღმი იყო დადებული და გაქცეულიყო, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სავაჭრო ცენტრ „ქარვასლის“ მარკეტინგის მენეჯერმა ნატალია საგინაშვილმა განუცხადა.

როგორც ის განმარტავს, აღნიშნული პირი, რომელმაც განაცხადა, რომ შენობაში ნაღმი იყო, იდენტიფიცირებული არ არის.

– დღეს, დაახლოებით 12:00 საათზე, ერთ-ერთმა პირმა ქალბატონს, რიგით მომხმარებელს უთხრა, რომ ნაღმი იყო დადებული და გაქცეულიყო. ეს ქალბატონი მივიდა ჩვენი დაცვის სამსახურთან, შემდეგ გამოვიძახეთ სპეციალური სამსახური. იქიდან გამომდინარე, რომ დავიცვათ უსაფრთხოების ნორმები, „ქარვასლის“ შენობა დაიცალა, – განაცხადა საგინაშვილმა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, სავაჭრო ცენტრ „ქარვასლაში“ ნაღმის შესახებ შეტყობინება ცრუ აღმოჩნდა.

უწყების ცნობითვე, მასთან განხორციელებული ზარის საფუძველზე, სავაჭრო ცენტრში შესაბამისი სამუშაოები განხორციელდა, თუმცა, დათვალიერების შედეგად, შენობაში ნაღმი არ აღმოჩნდა.

თურქეთში 60 წლის ქართველი ქალი მოკლეს

თურქეთში საქართველოს მოქალაქე, 60 წლამდე ქალი მოკლეს.

შემთხვევა ქალაქ ამასიაში, გარდაცვლილის კუთვნილ სახლში მოხდა.

ქალს მრავლობითი ჭრილობები ცეცხლსასროლი იარაღით აქვს მიყენებული.

მეზობლების თქმით, მათ რამდენიმე გასროლა გაიგეს და პოლიცია გამოიძახეს.

ბოროტმოქმედმა, სავარაუდოდ, მიმალვა შეძლო.

ზელენსკიმ პუტინს შეხვედრა შესთავაზა



უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ პუტინს მოლაპარაკებები შესთავაზა.

– დიალოგში რუსეთ-უკრაინის გარდა, ჩაერევიან აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი, – თქვა ზელენსკიმ.

პრეზიდენტმა დააკონკრეტა, რომ მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებენ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, ბრიტანეთის პრემიერი მეი, გერმანიის კანცლერი მერკელი და საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი.

მოლაპარაკებების სავარაუდო ადგილად ზელენსკიმ ბელორუსის დედაქალაქი მინსკი დაასახელა.

– უკრაინა მზადაა დიალოგისთვის! მოდით, შევხვდეთ და მოვილაპარაკოთ, – განაცხადა ზელენსკიმ.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ პესკოვმა მას ასე უპასუხა:

– უკრაინამ ფაქტიურად მოლაპარაკების ახალი ფორმატი შემოგვთავაზა! ბატონი პუტინი დღეს მზად არ არის, რათა ამაზე პასუხი გასცეს!

ყაზახეთში არასანქცირებულ აქციებზე 100-ზე მეტი ადამიანი დააკავეს

ყაზახეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ერლან ტურგუმბაევმა განაცხადა, რომ დედაქალაქ ნურ-სულთანში და ალმათიში არასანქცირებულ აქციებზე 100-ზე მეტი ადამიანი დააკავეს.

44 მათგანს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა, 19 კი ადმინისტრაციული წესით დააკავეს, 23 დააჯარიმეს.

არასანქცირებულ აქციებზე გამოსვლისკენ სოციალური ქსელით თავის მომხრეებს მოუწოდა მოძრაობის „ყაზახეთის დემოკრატიული არჩევანი“ ლიდერმა მუხტარ აბლიაზოვმა, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს.

ეს მოძრაობა ყაზახეთში ექსტრემისტულად არის მიჩნეული. წინა კვირაში ყაზახეთში სამართალდამცავებმა დედაქალაქშიც და ალმათიშიც დაკავეს რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც არასანქცირებული მიტინგების ორგანიზაცია ბრალდებათ.

მათი სახლებიდან ამოიღეს პლაკატები, სააგიტაციო ფურცლები, ხმის გამაძლიერებლები, საღებავი აეროზოლის ქილებში, კომპიუტერები, კავშირგაბმულობის საშუალებები და სოლიდური თანხა, რომელიც, გამოძიების ვერსიით, დაკავებულებს მიტინგების ორგანიზებისთვის უნდა დაეხარჯათ.

ავღანეთში ავიადარტყმას ერთი ოჯახის 7 წევრი შეეწირა

ავღანეთში ავიადარტყმას ერთი ოჯახის 7 წევრი, მათ შორის ქალები და ბავშვები შეეწირნენ.

იერიში „თალიბანის“ წევრებზე უნდა განხორციელებულიყო, თუმცა რაკეტა სანგარს ასცდა და გვერდით მდებარე სოფელში სახლს მოხვდა. საჰაერო დარტყმა განხორციელდა ქალაქ პული-ხუმრის მახლობლად.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელს არ დაუზუსტებია, თავდასხმა განახორციელეს ავღანეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა თუ ნატო-ს სამხედროებმა.

ბაიდენი ტრამპზე პოპულარულია



აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის რეიტინგმა აიწია. თუ აპრილში ტრამპის საქმიანობას დადებითად 39% აფასებდა, ახლა ეს რიცხვი 44%-მდე გაიზარდა.

აპრილში ტრამპის იმპიჩმენტის წინააღმდეგი 54% იყო, დღეს იმპიჩმენტს ამერიკელთა 59% ეწინააღმდეგება.

მიუხედავად ამისა, ტრამპის უმთავრესი კონკურენტი, დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე ჯო ბაიდენი (ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი) უფრო პოპულარულია.

ივლისის მონაცემებით, ბაიდენს 55% უჭერს მხარს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საფრანგეთში ჩოგბურთის ბურთის ზომის სეტყვა მოვიდა

საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ოვერნ-რონა-ალპის რეგიონში ჩოგბურთის ბურთის ზომის სეტყვა მოვიდა. ამის ამსახველი ვიდეო ტვიტერში ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა გამოაქვეყნა. კადრებში ჩანს, თუ როგორ ცვივა კერძო სახლის აუზში სეტყვა. ასევე ვიდეოს ავტორმა წარმოადგინა სეტყვა და ის ჩოგბურთის ბურთს შეადარა.

მეტეოროლოგიური სამსახურის მონაცემებით, 6 ივლისი დაფიქსირებული ჭექა-ქუხილის რაოდენობით რეკორდული აღმოჩნდა 2019 წელს. სულ ამ დღეს 73,3 ათასი ჭექა-ქუხილი დაფიქსირდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ავტომობილს iPhone-ს აკუმულატორის აფეთქებისგან ცეცხლი წაეკიდა

iPhone-ს აკუმულატორი ამერიკის ოკლაჰომას შტატის მკვიდრის ჯაბრიი პრატის ავტომობილში აფეთქდა.

ქალის თქმით, აფეთქების შედეგად მის მანქანას ცეცხლი წაეკიდა და მისი სალონი მთლიანად განადგურდა. პრატმა განაცხადა, რომ მან ტელეფონის ძველი აკუმულატორი ახლით შეცვალა, რომელიც ამაზონის გვერდზე შეუკვეთა.

აღსანიშნავია, რომ ამ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. შემთხვევის ადგილზე მეხანძრეები მივიდნენ. მათ აღნიშნეს, რომ შედეგები შესაძლოა გაცილებით უარესი ყოფილიყო, მანქანის ფანჯრები ღია რომ ყოფილიყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

20 წლამდე ნაკრებმა შეკრება დაასრულა

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები 12 ივლისს ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ჩაებმება. მანამდე მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილმა გუნდმა ბოლო მოსამზადებელი მატჩი გამართა.

ქართველები უკვე ევრობასკეტის მასპინძელ პორტუგალიაში არიან და ბოლო სპარინგიც ამ ქვეყნის ნაკრებთან გამართეს. საქართველოს ნაკრებმა ძალიან უშედეგოდ ითამაშა მეორე პერიოდში, რომელიც 9:35 წააგო და საბოლოოდ შეხვედრაც დიდი სხვაობით – 57:93 დათმო.

იმედია, მილოშ გლიგორიევიჩი და მისი ასისტენტები – ირაკლი ძიძიგური და ჯაბა ბაქრაძე სათანადო დასკვნებს გამოიტანდნენ პორტუგალიასთან დამარცხებიდან და 12 ივლისიდან ჩვენი ნაკრები მეტი შედეგიანობით შეუყვება ევრობასკეტს, რომელშიც 21 ქვეყანა მონაწილეობს. გუნდები 4 ჯგუფში არიან განაწილებულნი. ერთადერთი 6-გუნდიანი ჯგუფია და მასში საქართველო მოხვდა:

ა ჯგუფი: უნგრეთი, ირლანდია, ისლანდია, ბელარუსი, რუსეთი;

ბ ჯგუფი: ჩეხეთი, ალბანეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ფინეთი;

ც ჯგუფი: შვედეთი, კოსოვო, ჰოლანდია, საქართველო, სომხეთი, ესტონეთი;

დ ჯგუფი: პორტუგალია, ლუქსემბურგი, ბელგია, ჩრდილო მაკედონია, სლოვაკეთი.

გათამაშების ფორმატის თანახმად, თითოეული ჯგუფიდან 2-2 საუკეთესო მეოთხედფინალში გავა და განაგრძობს ბრძოლას საუკეთესო სამეულში მოსახვედრად. სწორედ 3 საუკეთესო გუნდი მოიპოვებს ელიტარული, ა დივიზიონის საგზურს. ჯგუფიდან ვერგასული გუნდები 9-21 ადგილებისთვის საკვალიფიკაციო ეტაპში გააგრძელებენ ასპარეზობას.

შედეგები

8 ივლისი

ფეხბურთი

აფჰიჯის ეთთა თასი

მალი-კოტ დივუარი	0:1
განა-ტუნისი	0:0(4:5პ)

შვედეთი. აისვენსჯა

ესკილსტუნა-დიურგარდენი	1:1
ელფსბორგი-ჰელსინბორგი	1:1

ჩოგბურთი

უიმბლდონი

ჯაცები

სოზა-ნადალი	2:6,2:6,2:6
გოფინი-ვერდასკო	7:6,2:6,6:3,6:4
ბაუტისტა გუტი-პერი	6:3,7:5,6:2
კუერი-სანდგრენი	6:4,6:7,7:6,7:6
ჯოკოვიჩი-იუმბერტი	6:3,6:2,6:3
პელია-რაონიჩი	3:6,4:6,6:3,7:6,8:6
ნიშიკორი-კუკუშკინი	6:3,3:6,6:3,6:4
ბერეტინი-ფედერერი	1:6,2:6,2:6

ქალები

სტრიცოვა-მერტენსი	4:6,7:5,6:2
ჩუანი-იასტრემსკაია	6:4,1:6,6:2
ბარტი-რისკე	6:3,2:6,3:6
სვიტოლინა-მარტიჩი	6:4,6:2
ს.უილიამსი-სუარეს ნავარო	6:2,6:2
მუხოვა-პლიშკოვა	4:6,7:5,13:11
ჰალეპი-გაუფი	6:3,6:3
კონტა-კვიტოვა	4:6,6:2,6:4

გიორგი ბეჟანიშვილი: „არასოდეს გავჩერდები“

სანამ გოგა ბითაძე ამერიკის სამუშაო ვიზის საკითხს აგვარებს, გიორგი ბეჟანიშვილს ეს პრობლემა არ აქვს და ცოტა ხნით სამშობლოში დასვენების შემდეგ ამერიკაში დაბრუნდა. ბეჟანიშვილზე, რომელმაც ნცაა-ში თავი ბრწყინვალე თამაშით გამოიჩინა, ამერიკულმა მედიამ სტატია გამოაქვეყნა.

– საკუთარი ფესვებით ამაყი – ქარიზმატული ბეჟანიშვილი ცდილობს, მომავალი თაობისთვის მისაბაძი მაგალითი იყოს, – ასეთი სათაურით გამოქვეყნდა სტატია, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ილინოისის სტუდენტი ღიმილით იხსენებს მაისს, როცა მშობლიურ რუსთავს 4-წლიანი განშორების შემდეგ ესტუმრა. მას ნაცნობი სიტუაცია დახვდა – რუსთავი, საბჭოთა კავშირის დროს გაშენებული ინდუსტრიული ქალაქი, ბოლო 20 წელზე მეტია, ებრძვის ეკონომიკურ კოლაფსს რეგიონში.

გიორგი ბეჟანიშვილი:

– რეალურად არაფერი შეცვლილა. იმედი მქონდა, სიტუაცია უკეთესობისკენ გამოსწორდებოდა, მაგრამ რაც ვნახე, ცოტა პოზიტივია, რაც ძალიან მაღონებს. ამიტომ მაქვს მიზანი, რომ როცა მივაღწევ მაღალ დონეს კარიერაში, რითაც შემეძლება დავეხმარები ჩემ სამშობლოს.

ბეჟანიშვილს სახე უნათდება, როცა საქართველოში საკუთარ ვიზიტს იხსენებს. მან ეს დრო ოჯახის წევრებთან და ძველ მეგობრებთან გაატარა, რომელთაც 14 წლის ასაკში გამოეთხოვა და ვენაში საცხოვრებლად გადაბარგდა. ის ამბობს, რომ დასვენების დიდ ნაწილს ტრენაჟორების დარბაზში და მოედანზე ატარებდა რუსთაველ კალათბურთელებთან ერთად.

– დიდებული იყო გამეზიარებინა ჩემი გამოცდილება თანაქალაქელებისთვის, რადგან საკალათბურთო თვალსაზრისით ასე შორს რუსთავიდან ჯერ არავინ წასულა. ამ ბიჭებს ოცნება გავუღვივე, რომ თუ მე შევძელი, ისინიც მიაღწევენ წარმატებას.

ბეჟანიშვილი ამბობს, რომ ის ყოველდღე იყო დარბაზში და უყურებდა სხვადასხვა მწვრთნელების ვარჯიშებს, თავადაც ერთვებოდა.

– ბიჭებს ვეუბნებოდი, რომ ბოლომდე დაიხარჯონ. არ დაიზარონ შრომა, მუდამ იმუშაონ საკუთარ თავზე, გამოვიდნენ კომფორტის ზონიდან. ეს იყო ჩემი უმთავრესი მესიჯი მათთვის. ვეუბნებოდი, რომ თუ მე შევძელი, მათაც შეუძლიათ წარმატების მიღწევა. ვფიქრობ, ეს კარგი იყო, როგორც მათთვის, ისე ჩემთვის. სამშობლოში ყოფნის გამოცდილებამ კიდევ უფრო გამიძლიერა სურვილი, არასოდეს გავჩერდე, ახლა კიდევ უფრო მეტს ვიშრომებ. აქ ხომ საამისოდ ყველა პირობა მაქვს.

საქართველომ კიდევ ერთი კალათბურთელი მიავლინა ნბა-ში – დრაფტის მე-18 ნომრად ინდიანა პეისერსმა გოგა ბითაძე აირჩია. ბითაძე მხოლოდ მე-6 ქართველი იქნება, ვინც ნბა-ში ითამაშებს: ვლადიმერ სტეფანიას, იაკე ცაკალიდისის (რუსთავშია დაბადებული), ზაზა ფაჩულიას, თორნიკე შენგელიასა და ნიკოლოზ ცქიტიშვილის შემდეგ.

სანამ გიორგი ვენაში გადავიდოდა, ხოლო გოგა სერბეთში – ისინი ყოველ წელს ეთამაშებოდნენ ერთმანეთს:

– ერთმანეთს არ ვიცნობთ, რადგან ჩვენი გზები ადრიდანვე გაიყარა, მაგრამ ძალიან ვამაყობ, რომ კიდევ ერთი ქართველი გადავიდა ნბა-ში. არც ისე ბევრი ქართველი ყოფილა მსოფლიოს საუკეთესო საკალათბურთო ლიგაში. საქართველოში ძალიან ბევრი ბავშვის ოცნება ნბა-ში თამაშია. ძალიან ვამაყობ ბითაძით და წარმატებას ვუსურვებ. გოგას ჯერ ამერიკული კალათბურთი არ უნახავს. უმაღლესი სკოლისა და კოლეჯის გამოცდილება მაქვს და ვიცი, რომ აქ წარმატების მიღწევა იოლი არ არის. იმედია, გოგა მალევე შეეწყობა ამერიკულ კალათბურთს. ის ძალიან მაგარი ბიჭია და მოტივირებულია, ვიცი, რომ ძალიან მშრომელია.

ბეჟანიშვილი თავადაც ძალიან მშრომელია – მის სადებიუტო სეზონში ნცაა-ში 206 სანტიმეტრი სიმაღლის ფორვარდმა გუნდის ერთ-ერთი ლიდერის ფუნქციები შეითავსა. გიორგი მე-3 იყო ილინოისში ქულებით – 12.5 ქულა საშუალოდ, რაც დებიუტანტისთვის კლუბის ისტორიაში მე-5 შედეგია. ბეჟანიშვილმა დიონ თომასის 29-წლიანი რეკორდიც მოხსნა, როცა თებერვალში ერთ მატჩში 35 ქულა ჩააგდო.

– ჩემი ახლობლები ამაყობენ. ყოველთვის ვამბობდი, რომ ერთ დღესაც ამერიკაში ვითამაშებდი. სიმართლე გითხრათ, ამის დიდად არავის სჯეროდა და ყველა იცინოდა. ახლა კი მაღალ დონეზე ვთამაშობ და არცთუ ცუდად. ახლა მათ სჯერათ, რომ მეტი შემიძლია. ისინი ხელს მიწყობენ და მეხმარებიან. მეტი რაღა დამრჩენია – უნდა ბევრი ვიშრომო და უკეთესი კალათბურთელი გავხდე.

საბურთალო დღეს ისტორიულ მატჩს გამართავს

დღეს საქართველოს ჩემპიონი საბურთალო ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოლდოვის ჩემპიონ ტირასპოლის შერიფს შეხვდება. ეს იქნება კლუბისთვის ისტორიული მატჩი, რადგან საბურთალო ევროტურნირებზე პირველად გამოდის.

შერიფი ქართული კლუბებისთვის უცხო გუნდი არაა. შარშან ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან სწორედ შერიფმა გამოთიშა ქუთაისის ტორპედო.

კლუბი 1997 წელს ყოფილი პოლიციელის და კომპანია „შერიფის“ თანამშრომლის, ვიქტორ გუშანის მიერ დაფუძნდა. შერიფმა ასპარეზობა მოლდოვის რანგით მეორე ჩემპიონატში დაიწყო, პირველსავე წელს პირველ ადგილზე გავიდა და უმაღლეს ლიგაში აღზევდა.

1999 წელს კლუბმა მოლდოვის თასის მოგება მოახერხა, 2 წლის შემდეგ უკვე ქვეყნის ჩემპიონობა დაისაკუთრა და ეს სტატუსი 10 წლის მანძილზე შეინარჩუნა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შერიფი გახდა პირველი მოლდოვური კლუბი, რომელმაც შემადგენლობაში ბრაზილიელი და აფრიკელი ლეგიონერები აიყვანა.

კლუბმა არსებობის მანძილზე ოთხჯერ შეძლო ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა. პირველად მოლდოვური კლუბი 2009-10 წლების სეზონში ჯუფში საკმაოდ რთულ მეტოქეებთან, რუმინულ სტიაუასთან, ჰოლანდიურ ტვენტესა და თურქულ ფენერბაჰჩესთან მოხვდა. შერიფმა 5 ქულით მე-3 ადგილი დაიკავა და ასპარეზობას გამოეთიშა.

მომდევნო წელს შერიფი კვლავ გავიდა ჯგუფურ ეტაპზე და ამჯერადაც ძლიერი მეტოქეები შეხვდა – უკრაინული დინამო, ბელარუსული ბატე და ჰოლანდიური ალკმაარი. მოლდოველებმა ისევ 5 ქულა დააგროვეს, მაგრამ ამჯერად ბოლო ადგილი დაიკავეს.

მესამედ ევროპის ლიგის ჯგუფში მოხვდა 2013-14 წლების გათამაშებაში. მისი მეტოქეები იყვნენ ნორვეგიული ტრომსო, რუსული ანჟი და ინგლისური ტოტენჰემი. მოლდოვური კლუბი კვლავ ფლეი ოფის გარეშე დარჩა და 6 ქულით მე-3 ადგილი დაიკავა.

უკანასკნელად ევროტურნირებზე შერიფმა 2017 წელს იასპარეზა. ევროპა ლიგის ჯგუფში მხოლოდ 1 თამაში წააგო, 9 ქულა დააგროვა და ბურთების უარესი ბალანსის გამო ვერ გავიდა ფლეი ოფში.

გუნდის მთავარი მწვრთნელი 45 წლის ხორვატი ზორან ზეკიჩი გახლავთ, რომელიც შერიფს 2019 წლის მაისიდან წვრთნის. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 4 შეხვედრა ჩაატარა და 4-ვე მოიგო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზეკიჩი მოლდოვურ გუნდს 2014-15 წლებშიც თავკაცობდა. კლუბის დირექტორი კი ქართველი ვაჟა თარხნიშვილია, რომელიც შერიფის ლეგენდა გახლავთ.

მოლდოვის მიმდინარე 8-გუნდიან ჩემპიონატში შერიფი დამაჯერებლად იკავებს პირველ ადგილს. დნესტრისპირელთა კლუბმა 15 გამართული შეხვედრიდან 13 მოიგო და ბურთების შთამბეჭდავი ბალანსი აქვს – 38:4. უახლოეს მეტოქეს კი 11 ქულით უსწრებს.

უეფას კლუბების რეიტინგში შერიფს 108-ე ადგილი უკავია.

ამჟამად შერიფის განაცხადში 22 ფეხბურთელია. მათი საერთო ღირებულება 11,23 (საბურთალოსი – 5.78) მილიონი ევრო გახლავთ, საშუალო ასაკი კი 27 წელია. კლუბში მოლდოვის ნაკრების 4 ფეხბურთელი თამაშობს, 1 კი ბელორუსის ეროვნული გუნდის წევრია.

გუნდში თამაშობს გორის დილას ყოფილი შემტევი, ბრაზილიელი ლეანდო რიბეირო, რომელსაც საბურთალოსთვის 3 გოლი აქვს გატანილი 1 შეხვედრაში. მოლდოვის მიმდინარე ჩემპიონატში კი რიბეირომ 13 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 3 გოლი გაიტანა. გუნდის საუკეთესო ბომბარდირები კი იური კეინდრიშია 7 გოლით.

კლუბის მთავარი სტადიონი „შერიფის დიდი არენა“ გახლავთ, რომელიც, 13.000 მაყურებელს იტევს.

შერიფი აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია. ზოგადად კი, საშუალო დონის კლუბს წარმოადგენს, რომელსაც განსაკუთრებით მაღალი კლასის ფეხბურთელები არ ჰყავს და ნამდვილად არ არის ის გუნდი, რომლის დამარცხებაც საბურთალოს არ შეუძლია. საქართველოში ნათამაშებმა რიბეირომ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ეროვნული ლიგა ბევრად რთული ჩემპიონატია, ვიდრე მოლდოვის პირველობა.

საქართველოს ჩემპიონი უკვე ტირასპოლშია, სადაც 24 ფეხბურთელით ჩაფრინდა. პირველ შეხვედრაში გუნდს ვერ დაეხმარებიან ლეგიონერები – ელვინ ტერა და ინტერს გი, რომლებსაც ტრავმები აწუხებთ. დანარჩენი ფეხბურთელები კი მწყობრში არიან და ემზადებიან შერიფთან სათამაშოდ.

საბურთალოს შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: ომარ მიგინეიშვილი, ლაზარე კუპატაძე, დენის შელიხოვი, თორნიკე მეგრელიშვილი;

მცველები: გიორგი რეხვიაშვილი, გაგი მარგველაშვილი, გრიგოლ ჩაბრაძე, ნიკოლოზ მალი, ლუკა ლაკვეხელიანი, დაჩი ცნობილაძე, თედორე გრიგალაშვილი, ლევან კაკუბავა, იური ტაბატაძე, გიორგი ჯინჯოლავა;

ნახევარმცველები: სანდრო ალთუნაშვილი, გეგა დიასამიძე, თორნიკე გორგიაშვილი, ლაშა შინდაგორიძე, ვაგნერ გონსალვესი, გიორგი კოხრეიძე;

თავდამსხმელები: გიორგი გაბედავა,ოგნიენ როლოვიჩი,გიორგი გულიაშვილი;

აქვე საბურთალოს მთავარი მწვრთნელის, გიორგი ჭიაბრიშვილისა და ფეხბურთელების კომენტარები.

გიორგი ჭიაბრიშვილი:

– ზოგადად, რა თქმა უნდა, კარგია პირველი შეხვედრის სტუმრად ჩატარება, მაგრამ ჩემთვის უმჯობესი იქნებოდა, პირველი შეხვედრა შინ გვეთამაშა. ბევრი რამეა გასათვალისწინებელი – დაძაბულობა, რომელიც ამ ტურნირს ახლავს, გულშემატკივრები, რომლებიც მეტოქე გუნდს ეყოლება.

პირველად გვიწევს, რომ სათამაშოდ სადღაც ჩავფრინდით, აკლიმატიზაცია უნდა გავიაროთ. ეს ყველაფერი არ არის იოლი, რადგან პირველი შემთხვევაა. ამიტომ მერჩივნა, ის, რაც პირველად ხდება, ჩვენს კედლებში, ჩვენი მაყურებლის წინაშე მომხდარიყო. ძალიან ახალგაზრდა გუნდი ვართ, მაგრამ აბსოლუტურად მზად ვართ. ჩემი ფეხბურთელების მენტალობისა და ფსიქოლოგიის ძალიან მჯერა.

ხდება ხოლმე, მეტოქე ერთი თავით მაღლა დგას შენზე, შერიფი კი, ასეთ გუნდად არ მიმაჩნია. თუმცა, ოდნავ მეტი უპირატესობა მათ მხარესაა, რადგან ასეთ დონეზე დიდი ხანია თამაშობენ. მჯერა, ყველასთვის, ვისაც ვეთამაშებით, სიურპრიზი ვიქნებით.

ჩვენთვის წარმატება ვერ იქნება შერიფის გაგდება. წარმატება არის, როდესაც ჯგუფურ ეტაპზე მოხვდები. ჩვენი ყველა მოქმედება გათვლილი იყო დროზე. წელს უნდა ვნახოთ, ამ დონეზე სათამაშოდ რა პრობლემები გვაქვს. მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში მუდმივად უნდა ვიყოთ მაღალ პოზიციებზე საქართველოს ჩემპიონატში, რათა ამის შემდეგ ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაზე ვიფიქროთ.

ლაზარე კუპატაძე:

– 10 ივლისი ჩვენი კლუბის ცხოვრებაში ისტორიული დღეა – პირველად ვითამაშებთ ევროტურნირებზე. დიდი მოლოდინით ვემზადებით მოახლოებული მატჩისთვის. გუნდში საბრძოლო განწყობაა. რაც შეეხება ჩემს დაბრუნებას – დავბრუნდი სახლში, სადაც თავს მშვენივრად ვგრძნობ. საბურთალო ჩემი ოჯახია. აქ ბევრი სასიამოვნო და დაუვიწყარი დრო მაქვს გატარებული. მჯერა, მომავალში საბურთალოსთან ერთად წარმატებებს კიდევ მივაღწევ.

დაჩი ცნობილაძე:

– რუსთავთან ჩატარებული მატჩის შემდეგ, ყველა შერიფთან მატჩზე ვფიქრობთ. ვემზადებით მოახლოებული შეხვედრისთვის. გავაანალიზეთ მეტოქის თამაში, ვნახეთ სუსტი და ძლიერი მხარეები. გუნდი მზად არის ისტორიული შეხვედრის ჩასატარებლად, წარმატების მისაღწევად კი ბოლომდე ვიბრძოლებთ. ევროპაში ჩვენთვის პირველი სერიოზული გამოცდაა, ვეცდებით, კარგად წარმოვაჩინოთ თავი.

გიორგი გაბედავა:

– შერიფი ძლიერი და უფრო გამოცდილი გუნდია, მაგრამ ისეთიც არაა, რომელთანაც შანსი არ გვექნება. ამას გარდა, მეტოქის რამდენიმე თამაში ვნახეთ. აქვთ, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. დიდი ხანია, რაც ტირას-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მეგან მარკლმა შვილის მონათვლის დროს მორიგი ტრადიცია დაარღვია

დიდ ბრიტანეთში პრინც ჰარის და მეგან მარკლის პირმშოს არჩი ჰარისონის ნათლობა გაიმართა. ამის თაობაზე ინფორმაცია ინსტაგრამში სამეფო ოჯახის გვერდზე გამოქვეყნდა.

დახურული ცერემონია 6 ივლისს დილით უინძორის ციხესიმაგრეში წმინდა გიორგის სახელობის სამლოცველოში გაიმართა. ბავშვი მონათლა ინგლისის ეკლესიის მეთაურმა გაერთიანებულ სამეფოში, კენტერბერიის არქიეპისკოპოსმა ჯასტინ უელბიმ.

ნათლობის დროს არჩის ემოსა კაბა, რომელშიც მონათლეს პრინც უილიამისა და კეიტ მიდლტონის შვილები.

სასექსის ჰერცოგმა და ჰერცოგინიამ ტრადიციის საწინააღმდეგოდ გადაწყვიტეს, ბავშვის ნათლიების სახელები არ გაამჟღავნონ. ცნობილია, რომ ცერემონიას სულ 25 ადამიანი ესწრებოდა, რომელთა შორის იყვნენ პრინცი უილიამი და მისი მეუღლე კეიტ მიდლტონი, პრინცი ჩარლზი მეუღლე კამილასთან ერთად და მეგან მარკლის დედა დორია რეგლანდი. დედოფალმა ელისაბედ II-მ და მისმა მეუღლე პრინცმა ფილიპმა მისვლა ვერ შეძლეს. ცერემონიაზე ჟურნალისტები არ შეუშვეს.

ექიმმა პაციენტის ყელში ცოცხალი წურბელა აღმოაჩინა

ჩინეთის გუიჩჟოუს პროვინციის გუიანის ოლქში ექიმმა პაციენტი ქალის ყელში ცოცხალი წურბელა აღმოაჩინა.



65 წლის ქალმა ერთ-ერთ ადგილობრივ საავადმყოფოს ყელის არეში ტკივილების და სისხლის ღებინების ჩივილებით მიმართა. ექიმმა მას ბრონქოსკოპია ჩაუტარა და მისი სასუნთქი გზები დაათვალიერა, რის შედეგადაც ქალის ყელში ორი სანტიმეტრი დიამეტრის ცოცხალი პარაზიტი აღმოაჩინა, რომელიც მჭიდროდ იყო მიკრული მის ტრაქეაზე.

ექიმმა წურბელის დაუყოვნებლივ მოშორება არ სცადა და მისი გაყინვა გადაწყვიტა, რათა გართულებები თავიდან აეცილებინა. ამის შემდეგ მან პარაზიტი ფრთხილად მოაშორა და იარა დაუმუშავა. თავად ქალმა აღიარა, რომ ჩვევად აქვს გაუფილტრავი წყლის დალევა, ვინაიდან ფერმაში მუშაობს. ექიმის თქმით, ქალმა ან წურბელას კვერცხი, ან ახლად გამოჩეკილი ჭია გადაყლაპა, რომელმაც შემდეგ მის ორგანიზმში დაიწყო განვითარება.

მამაკაცს შემთხვევით ცოცხალი თევზი გადაეყლაპა და დაიღუპა

ფილიპინელმა მამაკაცმა თევზაობის დროს შემთხვევით ცოცხალი თევზი გადაყლაპა და გაიგუდა.

პროვინცია ანტიკეს ბუგასონგეს მუნიციპალიტეტის მკვიდრი როჯერ მარსელინო თავისი სახლის შორიახლოს 11 წლის შვილთან ერთად თევზაობდა. მოულოდნელად მას თევზი ტილაპია გადაეყლაპა და გაიგუდა. ბიჭი მამისგან მოშორებით იმყოფებოდა და მომხდარი არ შეუნიშნავს.

როჯერი წყლიდან ამოვიდა და სახლში მიირბინა, რათა დახმარება ცოლისთვის ეთხოვა, ვინაიდან ვეღარ სუნთქავდა, მაგრამ მისი ყელიდან თევზის ამოყვანა დამოუკიდებლად ვერ მოხერხდა, ხოლო მაშველებმა დიდხანს ვერ შეძლეს ადგილამდე მიღწევა ტელეფონის გაუმართავად მუშაობის გამო. იმ დროისთვის მარსელინიოს უკვე გონება ჰქონდა დაკარგული. საავადმყოფოში გადაყვანის დროს 49 წლის ფილიპინელი დაიღუპა.

მარსელინიოს მეუღლის თქმით, მის დაღუპულ მეუღლეს ჩვევად ჰქონდა დაჭერილი თევზის პირში ჩადება, რომ არ დაკარგვოდა. სავარაუდოდ, თევზი მის პირში

აფართხალდა და სწორედ ამ დროს გადაეყლაპა ის მამაკაცს.

ქალმა თევზის მომზადებისას მის მუცელში კოვზი იპოვა

ინდონეზიის პროვინცია დასავლეთ იავის მცხოვრებმა ქალბატონმა ახლად დაჭერილი თევზის გამოშიგვნის დროს მის კუჭში პლასტიკატის კოვზი იპოვა.



ანა ნურჯანამ ადგილობრივ ბაზარში მოზრდილი თევზი იყიდა და მოსამსახურე გოგონას სთხოვა მის დამუშავებაში დახმარებოდა. მან შენიშნა, რომ თევზის კუჭი დეფორმირებული იყო და დიასახლისს დაუძახა.

– ქალბატონო, თევზის კუჭში რაღაცაა, – დაიძახა ქალმა.

მათ კუჭი გაჭრეს და შიგნით რვა ცალი პლასტმასის საგანი აღმოაჩინეს, მათ შორის კანფეტების შეფუთვა და ერთჯერადი კოვზი.

ნურჯანამ ამის ამსახველი ვიდეო ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა, რათა ამით ხალხის ყურადღება მიეპყრო ოკეანის დაბინძურების პრობლემისთვის. ვიდეომ მცირე დროში 280 ათასი ნახვა მოაგროვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

აშშ-ში ალკოჰოლი მდინარეში ჩაიღვარა

ამერიკის კენტუკის შტატში ხანძარი გაუჩნდა ალკოჰოლური სასმელების საწყობს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უკვე რამდენიმე დღეა ვისკი მდინარეში იღვრება.

ინციდენტი 2 ივლისს ადგილობრივი დროით დაახლოებით 23:30 საათზე მოხდა. ხანძარმა 45 ათასი ბარელი ალკოჰოლური სასმელი გაანადგურა (შვიდ მილიონ ლიტრზე მეტი). წინასწარი მონაცემებით, ხანძრის გაჩენის მიზეზი მეხის დაცემა გახდა.

ვუდფორდის ოლქის საგან-



გებო სიტუაციების სამმართველოს ხელმძღვანელი დრიუ ჩანდლერი ამტკიცებს, რომ ოთხშაბათის ღამეს მეხანძრეები წარუმატებლად ცდილობდნენ ცეცხლის ჩაქრობას. შედეგად ალკოჰოლი მდინარე კენტუკისა და ნაკადულ გლენსიში ჩაიღვარა. შტატის ხელისუფლებამ მეხანძრეებს ურჩია, შეწყვიტონ ცეცხლის ჩაქრობა და ეთანოლს ბოლომდე დაწვის საშუალება მისცენ.

– ასე გაცილებით ნაკლები ზიანი მიადგება ბუნებას. ეს ჩვენი ერთადერთი გამოსავალია, – განმარტა ჩანდლერმა.

მაშველების ჯგუფებმა ალკოჰოლის მდინარეში ჩადინების შესაჩერებლად ქვიშა გამოიყენეს. კენტუკის გარემოს დაცვის უწყების თანამშრომელი ჯონ მური აცხადებს, რომ მდინარეებში თევზები იღუპებიან.

საბურთალო დღეს ისტორიულ მატჩს გამართავს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

პოლურ გუნდს ჩემპიონატში კონკურენტი არ ჰყავს. ძალიან სწრაფი და მოძრავი გუნდია. რაც მთავარია, საბურთალოშიც კარგი შემადგენლობა შეიკრიბა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქესავით ევროთასებზე გამოსვლის გამოცდილება არ გაგვაჩნია, შეთამაშებული გუნდი ვართ და საბრძოლო განწყობით მივემგზავრებით ტირასპოლში.

გაგი მარგველაშვილი:

– ჩვენი მეტოქე კარგი გუნდია, შერიფს ბევრი ლეგიონერი ჰყავს და საინტერესო ფეხბურთს თამაშობს. მათი სიძლიერე შარშანაც გამოჩნდა, როდესაც მოლდოველები ქუთაისის ტორპედოს შეხვდნენ. ვერ ვიტყვი, რომ პირველ მატჩში თანაბარი შანსები გაგვაჩნია, რადგან სტუმრად ვთამაშობთ და უპირატესობა ტირასპოლელებს აქვთ. თანაც, ეს გუნდი სახლში თამაშებს თითქმის არ აგებს. მოახლოებული შეხვედრა საბურთალოსთვის ისტორიულია. სასურველი შედეგის მისაღწევად, ფეხბურთელები ძალებს არ დავიშურებთ.

სამწუხაროდ, ტირასპოლში გასამართი მატჩის ტელეტრანსლაცია ვერ განხორციელდება. ამის შესახებ ერთობლივი განცხადება საქართველოს პირველმა არხმა და საბურთალომ გაავრცელეს:

– 10 ივლისს საფეხბურთო კლუბი საბურთალო შერიფის წინააღმდეგ მოლდოვის ქალაქ ტირასპოლში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს გამართავს. გამომდინარე იქიდან, რომ მატჩისადმი ინტერესი დიდია, საჭიროდ ჩავთვალეთ, გაგვეკეთებინა განმარტება.

ზოგადად, კლუბებისთვის საერთაშორისო მატჩების ტრანსლირება არის შემოსავლების ერთ-ერთი წყარო, თუმცა გათვალისწინებულ იქნა რა გულშემატკივრების ინტერესი, კლუბმა საბურთალომ პირდაპირი რეპორტაჟის ექსკლუზიური უფლება საზოგადოებრივ მაუწყებელს უსასყიდლოდ გადასცა, რათა საზოგადოებრივ მაუწყებელს მოლაპარაკება ეწარმოებინა მოლდოვურ მხარესთან და გასვლითი მატჩი პირდაპირ ეთერში ეჩვენებინა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი აწარმოებდა მოლაპარაკებას ტირასპოლის ტელევიზიასთან, რომელიც მზად იყო, გაეცვალა რეპორტაჟები ქართულ მხარესთან, რათა ქართველ და მოლდოველ გულშემატკივარს მატჩების პირდაპირ ეთერში ნახვის საშუალება მისცემოდათ, თუმცა მოლდოვაში დაგეგმილ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე, მოლდოვურმა მხარემ სატელევიზიო რეპორტაჟების სიგნალების გაცვლაზე უარი თქვა.

რაც შეეხება კლუბ საბურთალოსა და შერიფის განმეორებით მატჩს, რომელიც თბილისში, 16 ივლისს ჩატარდება, მის ტრანსლაციას საქართველოს პირველი არხი 21:30 საათზე შემოგთავაზებთ.

ასტროპროგნოზი

10 ივლისისთვის

ვერძი – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. **კურო** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** – იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** – გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** – არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **ღრიანკალი** – რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **თხის რქა** – ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** – სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** – სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. გოეთეს ტრაგედია; 2. მსხლის ერთ-ერთი ჯიში; 3. სატანვარჯიშო იარაღი; 5. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 6. ტბა, ქალაქი, კანტონი შვეიცარიაში; 8. ქართული ლუდი; 11. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 13. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 14. იტალიური ლიქიორი; 15. ჩქარტემპიანი უნგრული ცეკვა; 19. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 1. თერმომეტრის გამომგონებელი გერმანელი ფიზიკოსი; 4. მაკლერის გასამრჯელო ბირჟაზე; 7. საქართველოში გავრცელებული ძვირფასი წითელმერქნიანი წიწვოვანი ხე; 9. ქალაქი იმერეთში; 10. ჯარების მართვის ორგანო; 12. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 16. მჭევრმეტყველების თეორია; 17. მაგიდის ჩინური ლოგიკური სათამაშო; 18. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 20. თირკმლების ანთება; 21. სამშენებლო საქმეში გამოყენებული გამომწვარი თაბაშირი; 22. ქუჩებში განთავსებული სახანძრო ონკანი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ნოთაობა; 2. ცოლიკაური; 3. დეკანოზი; 4. გულჩორა; 5. ფირუზი; 9. ჩხეიძე; 11; ბორჩალო; 12. ჯოყოლა; 14. ზუგდიდი; 18. ივერი; 19. მესხი.

თარაზულად: 4. გურონი; 5. ფაროსანა; 6. უელსი; 7. სლოგანი; 8. ჰიტაჩი; 10. ბამბა; 13. ბაზაზი; 15. აგუერო; 16. ზიჩი; 17. კანი; 20. დაგერი; 21. მაღარო; 22. მარაბდა; 29. ხარება.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაიათი; 2. სეზარი; 3. განჯა; 5. გორი; 6. ტაპირი; 8. ფაველა; 11. ფერეიდანი; 13. ბორჯომი; 14. კოკაინი; 15. ლიკეუმი; 19. სურო.

თარაზულად: 1. ბუნდესტაგი; 4. ონაგატა; 7. იროკეზი; 9. ჯანაოზი; 10. ოფურო; 12. სტეტსონი; 16. კარლსონი; 17. ერლიფტი; 18. ბანდერასი; 20. ნეპტუნი; 21. ზილი; 22. გორდონსი.

ალექსანდრე ზაზარაშვილმა უკრაინული საბავშვო „ვოისი“ მოიგო

უკრაინული საბავშვო „ვოისის“ ფინალისტმა ალექსანდრე ზაზარაშვილმა მეხუთე საიუბილეო სეზონი მოიგო.

ფინალში მწვრთნელების და მაყურებლის წინაშე 6 ფინალისტი წარდგა. მათი სიმღერების შესრულების შემდეგ კი 3 საუკეთესო დასახელდა და მათ შორის ალექსანდრე ზაზარაშვილი აღმოჩნდა.

ქართველმა მონაწილემ ორი სიმღერა შეასრულა – ქართული სიმღერა ვაჟა ტუღუშის „ქუჩაში ერთხელ“ და სელინ დიონის ის ჰიტი, რომლითაც ბრმა მოსმენაზე ყველა მწვრთნელი შემოატრიალა.

ქართველმა მომღერალმა ფინალში მაყურებელიც ატირა, მწვრთნელებიც და თვითონაც იტირა.

დაძაბული ორთაბრძოლის შემდეგ კი მაყურებელმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და ხმათა უმრავლესობით ალექსანდრე ზაზარაშვილი უკრაინის „საბავშვო ვოისის“ მეხუთე სეზონის გამარჯვებულად დაასახელა.

ანსამბლი „რუსთავი“ საქართველოში უფასო კონცერტებს იწყებს

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“ საიუბილეო-საქველმოქმედო კონცერტებს გამართავს.

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის, გიორგი ნატროშვილის განცხადებით, „რუსთავს“ 50 წლის იუბილე აქვს, რომლის ფარგლებშიც, საკონცერტო ტურნეები უცხოეთის გარდა, საქართველოშიც ჩატარდება.

საქართველოში კონცერტებზე დასწრება ყველასთვის უფასო იქნება. მსმენელის წინაშე მომღერლებთან ერთად, ანსამბლის დამფუძნებელი, მუსიკალური ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი წარდგება, რომელიც ანსამბლის დაფუძნებისა და ქართული ფოლკლორის ისტორიის შესახებ ისაუბრებს.

პირველი კონცერტი ახალქალაქის კულტურის სახლში გაიმართება, რის შემდეგაც ანსამბლი მესხეთის ახალციხის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ცაგერის კულტურის სახლში და ონის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლში შეკრებილი მსმენელის წინაშე წარდგება.

ნანა ხურითი: „რა გითხრათ?! რით გაგახაროთ?“

სოხუმის თეატრის მსახიობი ნანა ხურითი მამუკა ხაზარაძის მიერ საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებას იგივე სპექტაკლს უწოდებს:

– მამუკა ხაზარაძე საზოგადოებრივ მოძრაობას აფუძნებს. 2020 წლის არჩევნებისთვის. ენკენისთვე (სექტემბერი) მოსწონთ პოლიტიკაში შემოსვლისთვის ამ ტიპის ადამიანებს. 2011 წელსაც ეს თვე ამოარჩიეს და ახლაც. იგინივე და... მთავარი გმირი იცვლება მხოლოდ ამ სპექტაკლში, იგივე პიესა, იგივე „მასოვკა“, იგივე რეჟისორი, ტექსტი უცვლელი. ჩანაცვლება ნომერი? აღარ მახსოვს. „შუაგაკრეფილები“ დავრჩით გაღიმებულები. ტექსტი და თვე მაინც შეუცვალონ რეჟისორებმა. მაშინ 40%-ით უნდოდათ მოსვლა ,,ქართულ ოცნებას“, თუმცა ჩვენ 60%-ით მოვიყვანეთ, აბა ვნახოთ, ეს ,,ახალი“ ძალა თუ დაანონსებს პროცენტს და თუ დაემთხვევა... რა გითხრათ?! რით გაგახაროთ?

თეონა კონტრიძე: „გამორთეთ ემოცია და ჩართეთ ტვინი!“

მომღერალი თეონა კონტრიძე საქართველოში მიმდინარე მოვლენებს აფასებს:

– აღშფოთებული დღემდე ვერ დავოკდი. მიუხედავად ყველაფრისა, დავაფიქსირებ ჩემს აზრს. არც ერთ ქვეყანას არ შეიძლება მართავდეს ერთი ძალა. მოგწონთ ეს თქვენ თუ არა – უნდა არსებობდეს ბევრი პოზიცია. ნაცი, ქოცი, ევრო, აზია, ზინა, კუკური, ჯაზი, როკი, ტრეშ-მეტალი. ესაა დემოკრატია.

რუსთავი ორი არ არის გიორგი გაბუნია და მისი რეაქტიული ოხუნჯობები და ამორალური ეპატაჟი. რუსთავი 2 კიდევ უამრავი ადამიანია, რომელიც თავდადებულად ასრულებს თავის საქმეს. არ შეიძლება რუსთავი 2-ის გაუქმება ისევე, როგორც არ შეიძლება „ქართული ოცნების“ გაუქმება.

იბადება, მე მჯერა, რომ იბადება ახალი დემოკრატიული კულტურა. ამ გზაზე იქნება ეპატაჟიც, ვნებათაღელვაც და უზნეობაც, მაგრამ უნდა დაისაჯოს მხოლოდ დამნაშავე, კანონით და ცივად, ემოციის გარეშე.

პასიონარულობა არ შეიძლება იქცეს ერის დაავადებად. გამორთეთ ემოცია და ჩართეთ ტვინი, ერთხელ მაინც! გინება არაა გამოხატვის თავისუფლება, გინება უზრდელობაა, საშინელებაა, აღვირახსნილობაა, მაგრამ კანალის დახურვაც დემოკრატიასთან არაფერ შუაშია.

ჩვენი ძალაა კონსტიტუცია და მას დავეყრდნოთ. და კიდევ ერთი! მე ბოდიშს არავის არ ვუხდი სხვის გამო. შვილის გამოც კი. მუდმივი კარნავალი არ დამთავრდება, თუ ტვინი არ ჩაირთო!

მარიკა თხელიძე გაანაწყენეს

მომღერალი მარიკა თხელიძე გაანაწყენეს:

– მამაჩემის, აფხაზეთის ომში მკვდარი გმირის, საქართველოსთვის თავდადებული ნიკუშა თხელიძის შვილს, ვინც გაბედავთ და მეტყვით, რომ მე ვარ რუსეთუმე, მინიმუმ იგივე განცდას გისურვებთ გამოგეცადოთ, რასაც მე ვგრძნობ უმამოდ გაზრდილი მარიკა თხელიძე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბესო კალანდაძე: „ჩამოყალიბდით და შეცვალეთ რიტორიკა“

მომღერალი ბესო კალანდაძე ქართველ პოლიტიკოსებს, პოზიციას და ოპოზიციას მიმართავს და რიტორიკის შეცვლას ურჩევს:

– ვხედავ, რომ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს ქვეყანა უფსკრულის პირას მიჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსი არ ვარ, არც მაქვს პრეტენზია, მე ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ და ჩავთვალე, რომ დროა ხმა ამოვიღო.

ასევე ვხედავ, რომ 30 წელიწადია არ იცვლება პოლიტიკოსების რადიკალური რიტორიკა. დღევანდელი პოზიცია „აწვება“ რუსეთის მიმართ მაქსიმალურად დამთმობ პოლიტიკას, ალბათ იმაზე გათვლილს, რომ იქნებ შეგვიცოდოს და რაღაც გადმოგვიგდოს, ოპოზიცია კი „აწვება“ მაქსიმალურად აგრესიულ პოლიტიკას, მკვდარ-ცოცხალის გინებით, იქნებ ვაიძულოთ დათმობებზე წამოვიდეს.

თქვე ჩემის გადანგრეულებო, 30 წლის განმავლობაში ვერ მიხვდით, რომ არც ერთი მიდგომა არ მუშაობს და უფრო და უფრო ჭაობში ვეფლობით? შუა პოლიტიკა არ არსებობს? ნუთუ ასეთი გონებაშეზღუდულია ჩემი ერი? ბალტიისპირელებისაგან მაინც გესწავლათ, უახლოესი ისტორიაა, რომლებსაც არც არასდროს დაუხრიათ თავი ოკუპანტის მიმართ და არც მკვდარ-ცოცხალის გინებით მიუღწევიათ თავისუფლებისათვის. უფრო მეტიც, სამივე ქვეყანამ ხელები ჩაჰკიდა ერთმანეთს და ერთიანობის აღსანიშნავი ცოცხალი ჯაჭვი გააკეთა, რუსეთმა ვერ შეძლო მათი ურთიერთდაპირისპირება!

კარგად დაიმახსოვრეთ, ბატონებო, არც ერთი ქვეყანა, არც ერთი სხვა ერი, არასოდეს პატივს არ სცემს იმ ქვეყანას, იმ ერს, რომელსაც წყანარად, წაკუზულ მდგომარეობაში, მონობაში ურჩვენია ცხოვრება, ან სულ სხვისი შეურაცხყოფით უნდა მიზანს მიაღწიოს, რუსეთი კი არა, ჩვენზე პატარა არც ერთი ქვეყანა არ მოგვითმენს ამას.

მოკლედ, ჩამოყალიბდით და შეცვალეთ რიტორიკა, მიდგომები და თუ არ შეგიძლიათ, მაშინ დაახვიეთ პოლიტიკიდან და დაუთმეთ ასპარეზი იმ ადამიანებს, ვისაც ქვეყნისათვის საჭირო, ზომიერი პოლიტიკის გატარება შეუძლია!

სამგლოვიარო განცხადებები

17 წელი უშვენოდ გავატარეთ, ჩემო მიშიკო!

33 წლის იყავი, როცა საყვარელ ცოლ-შვილს, მშობლებს, ძმასა და ბიძაშვილებს გამოემშვიდობე; მარადიულ სასუფეველში დაიმკვიდრე ადგილი. ჩვენ კი დაგვიტოვე ტკივილი, მწუხარება, მონატრება, ღიმილი. შენი იუმორი მეგობრებთან, მეუღლესთან ერთად შეხმატკბილებული სიმღერა. გვენატრება შენი უმანკო ბავშვური სისუფთავე, ტყუილის თქმაც რომ არ შეგეძლო, იმ წუთში თვალებში გეტყობოდა. შენი ბიჭები – დემიკო და დათო დღეს ვაჟკაცები არიან. ღირსეული ვაჟკაცები გაზარდა შენმა ლელიკომ. შენმა ბიჭმა დემიკომ აისრულა შენი ოცნება – მსახიობი გახდა. საოცარი სიყვარული და მონატრება დატოვე შენს მეგობრებში. რა არ გაგიკეთეს, არც ერთი დღე არ გამოუტოვებიათ შენი ვაჟკაცობის მოსაგონებლად.

შენი დედა ყოველთვის დადის ეკლესიაში შენი სულის მოსახსენებლად. შენი საყვარელი დეიდაშვილი – ბერი ათანასე ლოცულობს შენი სულის სადიდებლად.

თითოეული შენი სისხლის ნათესავი თუ სულიერი ძმები და ახლობლები, სიყვარულითა და მონატრებით გიხსენებენ.

12 ივლისს 50 წელი გისრულდება. მადლობა შენს სულიერ ძმებს (გიგი გოგუაძის თამადობით) და შენდამი ყურადღების გამოხატვისათვის. დალოცე შენი მეუღლე, მან შენ გარეშე შეძლო ის, რაც ძალიან ძნელია დღევანდელ პირობებში, ოჯახის მართვა. ლელას დეიდაშვილი კახა და მამიდაშვილი დიტო, ნამდვილი ვაჟკაცები, ახლა შენთან არიან.

შენ იმდენი სითბო, სიყვარული და კაცობა დატოვე, რომლითაც შენი შვილები იამაყებენ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

შენი ოჯახი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

გიგი პიანომენი „რუსთავი 2“-ს ბოიკოტს უცხადებს

მუსიკოსი გიგი პიანომენი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს ბოიკოტს უცხადებს:

– ყოველთვის მინდოდა რამე მუსიკალური იდეა ან პიესა დამეკრა რუსთავზე, რადგან ვთვლიდი მის დიდ რეიტინგს და ყურებად ეთერებს რაღაცად... დღეიდან იმ გიგის დედა.... მ... მე რო მაგ არხზე რამე შევასრულო!

დამთავრებულია ეს ტელევიზია. მუსიკოსებსაც გრჩევთ, გაეშვით ამ არხს, პროსტა ტეხავს!

მოიწამლა ქვეყანა ამ შიგნაკრავებით. რაღაცას ხიმანდრობენ აი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კარის სოუსში ამოსვრილი თოლია ეგზოტიკური ფრინველი ეგონათ

დიდი ბრიტანეთის მაცხოვრებლებმა კარის სოუსში ამოსვრილი თოლია ეგზოტიკურ ფრინველად მიიღეს.

ბაკინჰემშირის საგრაფოს ქალაქ ეილსბერიში ადამიანებმა, რომლებმაც ვინაობის გამხელა არ ისურვეს გზის მახლობლად იპოვეს ფრინველი, რომელიც აფრენას ვერ ახერხებდა. ღია ნარინჯისფერი შეფერილობის გამო მათ ჩათვალეს, რომ ის ტროპიკული ზონის ფრინველი იყო.

ჩიტი ტიგივინკლეს გარეული ცხოველების სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს. სპეციალისტები მის დაბანას შეუდგნენ, ფრინველს შეფერილობა შეეცვალა და მაღე ისინი მიხვდნენ, რომ მათ წინაშე კარის სოუსში ჩავარდნილი ვერცხლისფერი თოლია იყო.

დათვალიერებამ აჩვენა, რომ ფრინველი სრულიად ჯანმრთელი იყო, ხოლო აფრენას ის სოუსის გამო ვერ ახერხებდა, რომლითაც მისი ბუმბულები იყო დაფარული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.9096
- ევრო — 3.2599
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6277
- 100 რუსული რუბლი — 4.4369

ამინდის პროგნოზი 10 ივლისისთვის

„ახალი თაობა"

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა"

9 ივლისიდან

ჯეიმს ფონიმორ კუპერი

ჯაშუში

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

2 ივლისიდან

ანა სიუელი

მშვენიერი შავრა

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ტიაგო სილვამ მესი გააკრიტიკა



ლიონელ მესიმ მსაჯები ბრაზილიის ნაკრებისთვის ხელშეწყობაში დაადანაშაულა და თქვა, რომ კონმებოლი კორუმპირებულია. ამის გამო მან ბრინჯაოს მედალზეც კი უარი განაცხადა. ბრაზილიის ნაკრების კაპიტან ტიაგო სილვას აზრით, მესი, უბრალოდ, ცდილობს, წაგება სხვებს დააბრალოს:

– მე მესმის, რომ

მესი იმედგაცრუებულია, რადგან მისმა გუნდმა ისევ წააგო, მაგრამ ყველაფერი სამართლიანად მოხდა და მსაჯები არაფერ შუაში არიან. მესის არ ულაპარაკია მსაჯებზე, როდესაც ბარსამ პსჟ-ს 6:1 მოუგო.

მესი თავისი გამონათქვამების გამო, შესაძლოა, დასაჯონ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

კაცი და ქალი რესტორანში სხედან. მამაკაცი ოფიციანტს ეკითხება:

– შეიძლება, რომ რაც დაგვრჩა, ჩვენ ძაღლს წავუღო?

– რა თქმა უნდა! უპრობლემოდ!

ამ დროს ქალი კაცს ეკითხება:

– რა ძაღლი გვყავს?

•••

რაიონში მამაკაცი გარდაიცვალა. ოჯახი იმაზე მსჯელობს, ჩააყოლოს თუ არა მიცვალებულს ყაბალახი. ერთი ამბობს:

– რათ უნდა ამ ზაფხულში ყაბალახი?

– რა, ზამთარში შენ წუუღებ თუ?

•••

ხალხით გადაჭედილ ავტობუსში მოხუცი ქალი იძახის:

– ფრთხილად იყავით, კვერცხებს გაუფრთხილდით, კვერცხებს!!!

– ბებო, ამ ხალხით სავსე ავტობუსში კვერცხები რამ ამოგატანინა? – ეკითხება ერთ-ერთი მგზავრი.

– კვერცხები კი არა, ლურსმნები მიმაქვს!!!

•••

თვალის ექიმი მამაკაცს ეუბნება:

– ქვედა ხაზი წაიკითხეთ...

– არ შემიძლია!

– ჰოო, ახლომხედველობა გქონიათ...

– ჰოო, მთელი ცხოვრება წერა-კითხვის უცოდინარი ვიყავი, ახლა კი თურმე ახლომხედველიც ვყოფილვარ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნეიმარმა პსჟ-ს ვარჯიში გააცდინა

ბრაზილიელი ვარსკვლავი ნეიმარი 8 ივლისის პსჟ-ს ვარჯიშზე უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ მან ეს ვარჯიში გააცდინა, რადგან ამჟამად ბრაზილიაში იმყოფება და პარიზში დაბრუნებას ერთ კვირაში აპირებს.

პსჟ-მ განცხადება გააკეთა ამ ფაქტთან დაკავშირებით, სადაც წერია, რომ ნეიმარი ამ საქციელის გამო აუცილებლად დაისჯება.

ნეიმარს პსჟ-დან წასვლა სურს და უკვე აღარც მალავს ამას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის ბარსელონაში აპირებს დაბრუნებას, თუმცა კატალონიელები ჯერჯერობით მის ტრანსფერზე არ მუშაობენ.

ხამესი, შესაძლოა, ატლეტიკოში აღმოჩნდეს

კოლუმბიელი ფორვარდი ხამეს როდრიგესი, შესაძლოა, მადრიდის ატლეტიკოს ფეხბურთელი გახდეს.

ხამესზე უფლებები მადრიდის რეალს ეკუთვნის, თუმცა ის ორი წლის განმავლობაში ბაიერნში თამაშობდა იჯარის წესით.

რეალში დაბრუნება ხამესს არ სურს, ამიტომ ახალ კლუბს ეძებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მისი ყიდვა ყველაზე მეტად მადრიდის ატლეტიკოს უნდა, რომელიც მზად არის, ამ ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადოს.

ლუკას ვასკესისთვის ინტერი და არსენალი იბრძოლებენ

მადრიდის რეალის შემტევი ლუკას ვასკესი, სავარაუდოდ, გუნდს დატოვებს. რეალი მზად არის, ის გაყიდოს, თუ რომელიმე გუნდი 30 მილიონს გადაიხდის.

ვასკესის ყიდვა რამდენიმე კლუბს სურს. მათ შორის არიან ინტერი და არსენალი, თუმცა არსენალი ამ ტრანსფერში 20 მილიონზე მეტის გადახდას არ აპირებს.

ლუკას ვასკესი რამდენიმე წელია, რეალის ღირსებას იცავს და ბოლო სეზონებში ის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო.

რეალთან ერთად მან სამჯერ ზედიზედ მოიგო ჩემპიონთა ლიგა.

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 2. რაიმეს დასამტკიცებლად გამოყენებული საბუთი; 3. ბიბლიის ათი მცნება; 4. დებულება, რომლის მართებულებასაც ადგენენ მტკიცების გზით; 5. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 9. სამურაების მეთაური; 11. სურსათ-სანოვაგის გადასაზიდი მხარზე გადასაკიდი, ძველებური ნაქსოვი ჩანთა; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. მდინარე ამსტერდამში; 18. სპორტული სასეირნო ნავი; 19. ფრანგი მწერალი.

თარაზულად: 4. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული; 5. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი; 6. ლხინი, დროსტარება; 7. დრამატული ნაწარმოების ერთ-ერთი ჟანრი; 8. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 10. ლითონდამამუშავებელი აგრეგატი; 13. მარცხი, სრული კრახი; 15. სევდიანი ლირიკული ლექსი; 16. თიხისა და თაბაშირის გამომწვარი ნარევი სამშენებლო სამუშაოებისთვის; 17. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 20. ტროპიკებში გავრცელებული მოკლეხორთუმიანი ცხოველი; 21. ტკბილეული, დესერტი; 22. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 23. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ჩან ჩან ვან + მა ინ ტონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ჯიან ჰი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ბუი ფუ დი ჰუანბ ვან + სუნ საო

აუმჯობესებს პოტენციას

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/